საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

ხუთშაბათი, 26 აგვისტო 1920 წ.

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდ № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 193 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 193

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

მამა ბეზური, დედა სადიკო, დები: კესა, პელაკი, ნინო, ძმები: ლადიმე, სერგო, სიძეები: მიხეილი და მელიტონ და რძალი პაშა ამით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს, რომ
სიმონ ბეზურის ძე ჭკუასელის
გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 28 აგვისტოს (ახ. სტ.) ს. კალაგონში, ხვთისმშობლის ეკლესიის გალავანში. (2758 1—1)

ნაძალადევის (ე. გილანიშვილის სახელობის) ქალ-ვაჟთა მთავრობის გიმნაზია
აუწყებს საზოგადოებას, რომ მისაღები გამოცდები
დაიწყება 8 ოქტომბერს
თავისუფალი ალაგები, როგორც ვაჟთათვის, ისე ქალთათვის არის 1, 4, 5, 6 კლასებში, კანცელარია ღია არის სამშაბათობით და პარასკეობით დილის 10—12 საათამდე. (2736 1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ
ა. წ. 1 სექტემბრიდან იხსნება
მებოსტნეობის პრაქტიკული
სკოლა
პირობებისა და ცნობების მიღება ყოველ დღე 8—12 საათამდე. (მუშტაიდის შესახვევი № 4. ყოფილი საბალოსნო სკოლა). (ნ. 12—9)

ტფილისის სახელმწიფო ინსტიტუტი
(არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთან).
ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება სწარმოებს
20 ივლისიდან 30 აგვისტომდე
როგორც პირველის, ისე მეორე საფეხურისათვის,—ყველა დარგებზე. მიიღება თხოვნები აგრეთვე ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ყველა კლასებში. მისამართი: ტფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 91. კანცელარია ღიაა: 8—11 ს. დილით—ყოველ დღე (უქმის გარდა). (ნ. 12—9)

ქ. კოჯორში „კლუბი სალხინო"
პარასკევს, 27 აგვისტოს 1920 წ. გვარდიის ცხენოსან პოლკის დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოთ და კულტურ.-განმანათლ. სექციის ღონისძიებათა გასაძლიერებლათ დღის 12 საათიდან შესდგება
გრანდიოზული სეირნობა
ბავშვთა დღესასწაულით: თამაშობა, ცეკვა, მსვლელობა შევარდნების მონაწილეობით. საღამოს 8 საათიდან
დიდი კონცერტი
სახელმწიფო ოპერის მსახიობთა მონაწილეობით. იმღერებენ: ბ. ი. ზალიპსკი, ლ. ნ. ისეცკი, ბოშათა რომანსების ცნობილი მომღერალი ქალი
თამარა წერეთლისა
ოპერეტის მსახიობნი: ე. ქუბა, ოსიპოვი და მომღერალთა გუნდი გვარდიის ცხენოსანთა პოლკისა მ. კავსაძის ლოტბარობით. როიალთან ქ-ნი შავერზაშვილი.
11 საათიდან დიდი კაბარე
სადაც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ბალეტის და „კრივოი ჯიმმის" მსახიობნი. ბალი გაჩირაღდნებული იქნება. დაიდგმება კიოსკები კრუშონისა, ჩაისა, ყვავილებისა, მფრინავი ფოსტა და სხვა. ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი და ზურნა. საღამოს დიასახლისი ზეკია-ხანუმ ხიმშიაშვილისა.
გამგე პოლკოვნიკი დ. წერეთელი. (უ. 1—1)

გამოცდილი
საქმის-მწარმოებელი
საუკეთესოდ მცოდნე
ქართული ენისა
ეძებს შესაფერ ადგილს. გარდა საქმის მწარმოებლობისა შეუძლიან ბუღალტრობა, ყოველგვარ სამეურნეო დარგის გამგეობა, აქვს სპეციალური ცოდნა ხორბლეულის და ფქვილის თვისების გამოსაკვლევად, შეუძლიან თარგმნა რუსულით. აქვს საშუალო განათლება. მისამართი რედაქციაში. (2749—2—2)

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია
გაზეთ „ერთობის" და „ბორბის" შენობის მეოთხე სართულში. პროვინციელმა ორგანიზაციებმა კორესპონდენციები და მომართვები ცეკასადმი გაზეთ „ერთობის" სახელზე უნდა გამოგზავნონ. ცენტრალური კომიტეტი ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა სალ. 4—6 საათამდე.

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და სალ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—თ.)

## ჩვენი ეკონომიური ვითარების გამო

დიდი და საპასუხისმგებლო საკითხია ქვეყნის ეკონომიური აღორძინება საერთოდ, და ან ნგრევა რღვევის ხანაში განსაკუთრებით. მაგრამ ჩვენმა მთავრობამ თუმცა რამოდენიმე ცდის შემდეგ აილო გარკვეული კურსი: ესაა საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობა კერძოსთან; ესაა საერთოდ მოწესრიგება საზოგადოებრივ წარმოების და კერძოსიც, რამდენათაც ეს უკანასკნელი მოწესრიგებას ითმენს.

ამ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ფორმულის განსახორციელებლად ილვწიან დღეს ჩვენი თვითმართველობანი და მათი კავშირები, ამაზე ზრუნავს მთავრობის აპარატიც, და მისი საერთო ეკონომიური საქმიანობა, ამავე მიზნით არსდება ეკონომიური საბჭო, რომელშიაც შევლენ ყველა სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადოებრივი წრეების წარმადგენელნი.

ამ რიგათ დაგვირგვინდება და გაერთიანდება ის მუშაობა, რომელსაც დღემდე არ ქონდა ორგანიზაციულათ მოწყობილი ხასიათი და გარკვეული სახელმწიფოებრივ ფარგლებში შემუშავებული გეგმა. ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ მუშაობის უაღრეს მნიშვნელობის დაწვრილებით განხილვას.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ რომ ეს ერთი უდიდესი საშუალებათაგანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღდგენის და წარმატების. და რომ ეს შეიგნოს ყველა მოქალაქემ, მას უნდა გაეფანტოს ერთი ილლიუზია, რომელიც დღემდე კიდევ სიამით უხიცინებს გულს და აბრუებს გონებას—ესაა იმედი ევროპის დახმარების, მათგან სესხის მიღების და ამ სესხით ეკონომიური ცხოვრების აღდგენის. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია ამ ჟამათ მისია მინისტრ კ. პ. კანდელაკის, რომელსაც ეკონომიური მიზნები აქვს დასახული მიზნათ ევროპაში. ცნობები იყო, რომ იგი თითქოს პოულობს სესხს. მაგრამ იქნება ეს სესხი, თუ არა, ჩვენ გვეეჭვება, რომ მას დიდათ სერიოზული გავლენა ექნეს ჩვენს ეკონომიკაზე. და აი რატომ. ევროპის კაპიტალი და მართველი წრეები მართალია დაინტერესებული არიან ჩვენი ქვეყნით, მაგრამ კაპიტალისტები ფრთხილი ხალხია. მათ ამ შემთხვევაში კურდღლის ფსიხოლოგია აქვთ. ყოველ გაფაჩუნებაზე ყურებს ცქვეტენ და გარბიან. ჩვენს გარშემო კი, მიუხედავათ ჩვენს შინაურ მტკიცე მდგომარეობისა, მეტათ არა ხელსაყრელი პირობებია თავმოყრილი. ადერბეიჯანი და ჩრდილო რუსეთი, სადაც მეფობს საბჭოთა პოლიტიკა, ჩვენდამი მტრულ განწყობილებას არ სტოვებს. ეს კი ბადებს საფრთხეს მათი შემოსევისას. მოხდება თუ არა ეს შემოსევა, სულ ერთია, კაპიტალს ის მაინც აფრთხობს. ცხადია, სანამ ეს ურთიერთობა უფრო ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგება, ევროპის მრეწველი და საერთოთ ფულიანი წრეები აქეთ არ გადმოგზავნიან თავის კაპიტალებს. და თუ გადმოგზავნეს სარისკოს ისეთს მოითხოვენ, რომ მისი ანაზღაურება ჩვენი ქვეყნის მონათ ქცევა იქნება. მონობას კი ჩვენი დემოკრატია ვერ მიიღებს.

ამ რიგად დიდი იმედი ახლო მომავალში ევროპის მილიონებს არ უნდა გვქონდეს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიმდიდრის დამუშავება, აქ დაბანდებულ ბუნებრივ ძალთა ამოძრავება უნდა თავს იდვას შინაურმა საშვალებებმა.

ისევ საზოგადოებრივი თაოსნობა, ჩვენი ერობის, ქალაქის, კოოპერატივის და მათთან შეკავშირებული კერძო კაპიტალი რასაც მოიმოქმედებს, ის არის მტკიცე და საიმედო. ადგილობრივი კერძო კაპიტალიც გაურბის წარმოებას. მას უნდა ისეთი პირობები, როგორც წმინდა ბურჟუაზიულ ქვეყნებში აქვს, ესე იგი სრული თავისუფლება ექსპლოატაციის. ცხადია ამის მიცემა ჩვენ არ შეგვიძლია, თუნდაც ამისთვის გაზ. „საქართველოს" რისხვა დავიმსახუროთ. ჩვენი ერის ეკონომიური მომავალი განსაზღვრულია დიდი რევოლიუციის ხასიათით, ამ რევოლიუციამ მოგვცა ბატონობა არა ბურჟუაზიის, არამედ დემოკრატიის, მშრომელი ხალხის და ეკონომიური პოლიტიკაც ამ უკანასკნელის ინტერესების მიხედვით უნდა განვითარდეს.

კერძო კაპიტალი, ესეც არ იყოს, მაინც სპეკულიაციაშია გაბმული. და აი აქედან იოლ და მსწრაფლ მოგებას იღებს. ამ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო. უნდა მოხდეს ერთგვარი განდევნა, ოსტრაკიზმი თანხებისა ამ სპეკულიაციის სფეროდან.

სასპეკულიაციო მოქმედებას უნდა დაატყდეს მთელი რეპრესიები მთავრობის, მის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ყველა ის საშვალებანი, რომელსაც კანონი აძლევს მთავრობას. კიდევ მეტი, სპეკულიანტებს უნდა ჩამოერთვას ამ გზით შეძენილი ქონება, თანხა, და ისინი გაძევებულ იქნეს რესპუბლიკის საზღვრებიდან. ერთ საქონლის 15 ჯერ გადაყიდვას და ერთი ათათ გაძვირებას უნდა მიეცეს დასასრული. ხოლო სამრეწველო კაპიტალს, ესე იგი წარმოებაში ჩაბმულს, კერძო იქნება ის, თუ საზოგადოებრივი, სრული გარანტია ექნეს ხელშეუხებლობის. კიდევ მეტი, უნდა აღმოეჩინოს მათ დახმარება, რამდენითაც კი ეს სახელმწიფოსგან შესაძლებელია. ბანკები, რომელნიც სასპეკულიაციო ოპერაციებს აწარმოებენ, უნდა დატუქსონ.

კერძო კაპიტალი წარმოებაში უნდა დაუკავშირდეს და შეუერთდეს საზოგადოებრივს, ამით იგი დაზღვეულ იქნება ამ სასპეკულიაციო მოქმედებისაგან, რასაც დღეს ხშირათ ვხედავთ ფაბრიკა ქარხნების პატრონთაგან, მაგ რასაც უკანასკნელნი კეტავენ, ან ამცირებენ წარმოებას, რომ ნაწარმოებთა რიცხვი შეამცირონ, და მას ამ გზით სასპეკულიაციო მოგება გამოაღებინონ და სხვა.

ყველა საზოგადოებრივი ძალა, ყველა სასიცოცხლო ელემენტები უნდა ჩაებნენ ქვეყნის ეკონომიურ გამოცოცხლების საქმეში, მთავრობაზე მითითება მარტო და მისგან მსხვერპლის მოთხოვნა ეს უგნურებაა. მსხვერპლი აქ საჭირო არ არის. აქ არის საჭირო მხოლოდ სიყვარული საქმის და დათმობა გადამეტებული სიხარბის, როცა ეს სიხარბე ნთქავს ქვეყნის კეთილდღეობას.

ჩვენი მხრივ სრული იმედი გვაქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათ უნდა შებოჭონ, ჩაითრიონ და დაუმორჩილონ თავის გზას კერძო კაპიტალისტები.

აი აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი მთელი ჩვენი ეკონომიური შემოქმედება.

საქართველოს აყვავება ისევ საქართველოს შვილთ შეუძლიათ. ერთხელ და სამუდამოთ დავანებოთ თავი დიდ იმედებს უცხო ძალების შემოსვლაზე. ჩვენი საქმე თვითვე ვაკეთოთ. მაშინ უცხონიც თვით მოვლენ და შემოგვეხვეწებიან. საქართველოს აღორძინება უნდა მოხდეს უმთავრესად მისი საკუთარი ძალებით.

## ვის ებრძვის საქართველოს დემოკრატია? *)

### II.

ასეთია, ასე ვთქვათ, დედუქტიური (წინასწარი, ლოღიკაზე დაყრდნობილი) მსჯელობა, მაგრამ დედუქცია მაშინ არის მაგარი, როდესაც იგი ინდუქტიურადაც (ფაქტების აღნუსხვიდანაც) მართლდება. ფაქტები კი აშკარად ლაღადებენ, რომ **საქართველოს კომუნისტური პარტია თავისი შემადგენლობით არ არის საქართველოს პროლეტარიატის პარტია**, საქართველოს კომუნისტურ პარტიაში არიან მუშები, მაგრამ ადგილობრივ მუშათა რიცხვი ამ პარტიაში სრულიად უმნიშვნელოა. „კომუნისტი" მოითხოვს დავამტკიცოთ ეს. ჩვენ არ გვინახავს მათი პარტიული სიები, მაგრამ გვინახავს მათი პარტიული გამოსვლები და ვიცით, რომ ამ გამოსვლებში მთავარ მონაწილეობას ღებულობდენ არა-ქართველები და არა მუშები. ჩვენთვის ეს ფაქტი სრულიად საკმარისია: საქართველოს პროლეტარიატი რომ იყოს კომუნისტური პარტიის მთავარი დასაყრდნობი კლასი, იგი არა-ქართველებს და არა-მუშებს არ გამოგზავნიდა დემონსტრაციებზე, არამედ მთავარი მონაწილე ამ დემონსტრაციებისა თითონ იქნებოდა. თუ ეს ასე არ არის, თუ კომუნისტების პარტიას საქართველოს პროლეტარიატი ავსებს, „კომუნისტმა" ჩვენ კი არ უნდა მოგვთხოვოს იმის დამტკიცება, რასაც ჩვენ ჩვენის თვალით ვხედავთ, არამედ თითონ უნდა დაამტკიცოს წინააღმდეგი, რასაც ვერავინ ვერ ხედავს.

მიუხედავათ მარქსისტული ფრაზეოლოგიისა, კომუნისტების მთელი მსოფლმხედველობა მარქსიზმის პირქვე დამხობაა. მარქსიზმის სრულს გაუგებრობაზეა დაფუძნებული. მათი შეხედულება კლასიურ ბრძოლაზედაც. ჩვენ მიერ აღნიშნულ ფაქტს, რომ კომუნისტების გარდა ჩვენი დემოკრატია არა-ნაკლების გააფთრებით ებრძოდა დენიკინელებს, სერვერ ბეგებს და დაშნაკელებს, „კომუნისტი" ასეთს შენიშვნას უკეთებს:

„**მათთან ბრძოლა იყო არა კლასობრივი ბრძოლა, არამედ მხოლოდ ნაციონალური ბრძოლა**".

ქვემოთ „კომუნისტი" იმეორებს ამავე აზრს:

„დენიკინელებისა და ბეგების მიმართ რომ თვით მენშევიკებიც ვერ უარყოფენ, რომ მათთან ბრძოლა იყო არაკლასობრივი, არამედ **ნაციონალური ბრძოლა**".

საცოდავი მარქსი, რომლის სახელსაც უერთებენ ამნაირს მარტივს და ზერელე წარმოდგენას კლასიურ ბრძოლაზე! ვისაც მარქსიზმე ცოტა მაინც წარმოდგენა აქვს, მან უნდა იცოდეს, რომ ყოველივე ნაციონალური ბრძოლის სათავეში კლასიური ბრძოლა დევს. ხშირად სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობა იმდენათ რთულია და ახლართულ-დახლართული, რომ სრულებით არ ჩანს მის სიღრმეში მდებარე კლასიური ურთიერთობა. მაგრამ ჩვენს შემთხვევებში ნაციონალური ბრძოლის სათავეში მდებარე კლასიური მიზეზები იმდენათ დასანახია, რომ ამას მტკიცებაც კი არ სჭირდება.

სერვერ-ბეგის შეურიგებლობა საქართველოსთან ეს არის შეურიგებლობა მსხვილი მემამულეებისა. და დამახასიათებელია ის, რომ ახალციხის ომის დროს, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკა აწარმოებდა სერვერ-ბეგის მეთაურობით შემოჭრილი ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ, თვით **ქართველი** თავად-აზნაურობის ინტერესების გამომხატველი პარტიები, მიუხედავათ იმისა, რომ ამ დროს უკვე სავსებით იდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, მაინც დიდს გულისწყრომას გამოსთქვამდენ იმის გამო, საქართველოს სათავეში მდგომმა პარტიამ **გადიმტერა სერვერ-ბეგი**, რომლებთანაც ძნელი არ იყო მორიგება: მათ მამულებს რომ არ შეხებოდით, ეს აჯანყება არ მოხდებოდაო.

დენიკინელები? იქნება ამათ არ სთვლის „კომუნისტი" კლასიურ მოწინააღმდეგეთ? ნიკოლოზის ბიუროკრატია, რომელიც ისე პარპაშობდა ჩვენს ქვეყანაში, როგორც დაპყრობილ კოლონიაში, და რომელიც უცბათ, დემოკრატიის ერთი ხელის დაკვრით ტახტიდან ჩამოვარდა და უადგილო ჩინოვნიკებათ და აფიცრებათ გადიქცა,—ეს ბიუროკრატია არ აწარმოებს საქართველოსთან **კლასიურ ბრძოლას**? ან იქნება „კომუნისტი" საზოგადოთ უარჰყოფს, რომ ბიუროკრატია რომელიმე კლასის ინტერესების მატარებელია? სთქვას ეს, და მასთან სხვანაირი ლაპარაკი გვექნება.

**დაშნაკელები**? მათს ბრძოლას არ ედვა სათავეში კლასიური მიზეზები? „კომუნისტი" სრულებით ვერ გარკვე- [illegible]

ლ. ნათაძე.

## პრესა

„კომუნისტმა" აიხადა ნიღაბი. ეს საქართველოს პარტიის ორგანო, ნამდვილათ საბჭოთა რუსეთის კონტრ-აგენტია, მისი აქ გაბატონების მოციქული და მატარებელი.

ამ გაზეთს არ მოსწონს საქართველოს და სომხეთის დაახლოვება.

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთაშორისო მდგომარეობაში ახალი ხანა დაიწყო. ანტანტის გამათახსირებელი გავლენა ისპობა და მასთან ერთათ ნიადაგი ეცლება პატარა დიპლომატების კომბინაციებს".

ვინ არიან ეს პატარა დიპლომატები, რომელთაც ასე გაუზრახებია „კომუნისტი", რომელი ქვეყნის დიპლომატებია იგინი? რასაკვირველია, საქართველოსი.

ქართველ კომუნისტებს ვერ მოუნელებიათ ის, რომ საქართველო ამიერ-კავკასიაში დიდ როლს თამაშობდა და დანარჩენ რესპუბლიკებთან დემოკრატიული კავშირის და მეგობრობის დამყარებას ცდილობდა და იგი ახალი ძალის შემოჭრას შეხარის, რომელმაც ეს მდგომარეობა უნდა შესცვალოს. ეს ახალი ძალაა საბჭოთა რუსეთი, რომელიც გაბატონებულა ადერბეიჯანში. გაზეთი ოფლს ღვრის იმის დასამტკიცებლად, რომ სომხეთი არ უნდა მოურიგდეს საქართველოს, არ უნდა გადაჭრას მასთან საზღვრების საკითხი, არ უნდა დაიწყოს ბორჩალოს ომის ამბავი და სხ. ერთი სიტყვით, იგი ცდილობს სომხეთი გადაკიდოს საქართველოს და სამაგიეროთ დაუმეგობროს ადერბეიჯანს. „კომუნისტს" ტყვილა გონია, ვითომ ჩვენ მათი მორიგება და მათ შორის ზავი რაიმე მხრით ჩვენთვის საზარალოდ მიგვაჩნდეს. პირიქით. ზავი და მშვიდობიანობა მათ შორის ჩვენთვის ხელსაყრელია და სასურველიც.

მაგრამ კომუნისტებს უნდათ ეს ზავი გამოიყენონ საქართველოს წინააღმდეგ, მისი გეგმონის დასამხობათ, რო- [illegible]

[illegible] ვოე ვრემიაში"?

ასეა ამ ტიპიური მენშიკოვის—სოსნოვსკის საქმეც!

ბევრი მაგალითები გვქონდა ჩვენ მოყვანილი იმისი, თუ როგორ ზეპირად სწერს ეს ვაჟბატონი საქართველოს დემოკრატიის საზრალმდებლო ოქმს.

და ამ მამალიტებს საჭიროდ მიგვაჩნია დავუმატოთ ერთიც.

ადგილობრივ „ახალ კომუნისტში" გადმობეჭდილია „პრავდის" მე 174 ნომრიდან (8 აგვისტო) ლ. სოსნოვსკის წერილი, სადაც ლაპარაკია საქართველოს მიერ რუსეთ საქართველოს ზავის პირობების „დარღვევაზე".

ეს დარღვევა თურმე გამოიხატება კომუნისტების დევნაში, ამ პარტიის ლეგალურად მუშაობის მოსპობაში და, სხვათა შორის ასეთი „ფაქტია" მოყვანილი: „კომუნისტის" მე-2 ნომერში აღნიშნულია, რომ იყო შემთხვევები მუშაკომუნისტების ცემის დამფუძნებელი კრების იმ წევრის თანდასწრებითაც კი, რომელმაც ჩვენთან ერთად ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომელშიაც არის მუხლი კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიების შეჩერების შესახებ.

„შეიძლება მოქალაქე ურატაძეს, წევრს მაღალი საკრებულოისა, საინტერესოდ მიაჩნდა ცქერა, როცა მუშებს სცემენ მის დემოკრატიულ სამშობლოში?

„მაგრამ საბჭოთა რუსეთის მუშები ასეთ შეურაცხყოფა-ძალადობაზე მრისხანე აღშფოთებით უპასუხებენ.

„ჩვენი ხელშეკრულება—ქაღალდის ნაფლეთი როდია, რომ ის შეაგინოს და სთელოს ყოველმა მოხალისემ.

თუ ქართველ მენშევიკებს სურვილი აქვთ ზავი შეკრან მეორე რუსეთთან ვრანგელის სახით, თუ მათ სძაგთ ზავი დიდ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკასთან—დეე სთქვან ეს აშკარათ.

„ასეთი შეურაცხყოფის დაშვება მეტი შეუძლებელია!"

---

*) დასასრული, იხ. „ერთობა" №

*) საინტერესო ცნობები გვაქვს კავკასიის უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკუმის სტუდენტების სულიერი განწყობილების დასახასიათებლად: წარსულ ნოემბერ-დეკემბერში ამ სტუდენტთა ³/₄ დენიკინელები იყვნენ, „წითელი" არმიის მოახლოვების ჟამს ეს ³/₄ ერთ თვეში კომუნისტებათ გადაიქცენ.

ფომ მუშები არ უზრუნველჰყო პირველ საჭიროების საგნებით, შეუძლებელია მტკიცე ტარიფების ცხოვრებაში გატარება და პირიქით: აზრი არ ექნება მტკიცე ფასების დაწესებას, თუ კი ხელფასის ტარიფებიც არ იქნება განსაზღვრული.

მუშების ნივთიერი მდგომარეობა უზრუნველყოფილი იქნება არა ტარიფების გადიდებით, არა ბევრი ფულის ნიშნების მიცემით, არამედ—ხელფასის ნატურალიზაციაზე თანდათანობით გადასვლით".

წერილის ბოლოში კ. ლ. ამბობს, რომ ამნაირად ფულის მაგიერ საგნები უნდა ეძლიოს მუშებს, მაგრამ საგნების დამზადება კი თვით მუშების საქმეა და ამათ უნდა გაადიდონ ენერგია და შრომის გადიდებით შექმნან საგნები.

**აგიტაცია მტკიცე ტარიფების გასატარებლათ.** ამ სათაურით იმავე გაზეთის იმავე ნომერში მოთავსებულია შემდეგი შენიშვნა: „მწარმოებელ კავშირების ყველა კონფერენციებზე აშკარა გახდა სატარიფო პოლიტიკის ის ხაზი, რომელიც საჭიროა გატარდეს თერგის ოლქში.

ყველა კავშირები მოვალენი არიან დიდი ენერგიით ხარი დაუჭირონ მტკიცე ტარიფების შემოღებულ წესებს და სულ ახლო მომავალში გაატარონ. ამ ზომის გასაადვილებლათ კავშირებმა უნდა ფართე აგიტაცია გასწიონ.

ოლქის „პასტკომის" და „ობრევკომის" გაერთიანებულ სხდომაზე საბჭოთა პასუხისმგებელ მუშაკთა მონაწილეობით დაადგინეს მასაში აგიტაცია აწარმოონ მტკიცე ტარიფების გასატარებლათ. გადაწყვეტილია ამ მიზნით გამოიყენონ ყველა პარტიული ძალები:

ამ აგიტაციასთან დაკავშირებულ სხვა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად 13 აგვისტოსთვის მოწვეულია მე-2 „რაიკომის" საგანგებო საერთო კრება.

**„სამარცხვინო მოვლენა".** უკანასკნელ ხანს გაჩნდა აუარებელი მთხოვარი „ტუზემცების" ბავშვები. მუშკიან-

**ჯილდო მატარებლების დაუნიშნოებლათ გავლისათვის.** აღერბეიჯანის რკ. გზების სამმართველოს სანიტრო კომისიამ მოიწონა პროექტი დებულებისა იმის შესახებ, რომ ჯილდო მიეცეს მოსამსახურეებს მატარებლების უვნებლათ გატარებისათვის ერთი სადგურიდან მეორე სადგურამდე („კომ." № 84).

**სუბოტნიკი მუსიკით.** ბაქოს „კომ." 84-ში სწერია: აქამდე სუბოტნიკებში სასურველი წესრიგი არ არის, არ ვიცი შეიძლება სხვაგან იყოს, მაგრამ ჩვენში არ არის. აი მაგ., უკანასკნელ სუბოტნიკზე. სამხედრო ნავთსადგურში თივის გადმოსატვირთავათ ვმუშაობდით 150 კაცი. მუშაობა სწარმოებდა მუსიკით. ბევრს მუშაობდენ, მაგრამ წესრიგი არ იყო. დიდი ძალი თივა გაფანტული იყო და ისევე დალპა, მაშინ, როდესაც თივის დიდი საჭიროებაა ისე, როგორც სხვა საგნებში. ამ თავით შეიძლებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში ეკვებათ ყოფილ ნავთის მრეწველთა ცხენები, რომლებიც ეხლა უკვე რამდენიმე დღეა გორაზე დაეხეტებიან ბიბიეიბათის ამბულატორიასთან და ბალახის ნაცვლად დაეძებენ ხრიოკ ადგილში. თივა კი ქარმა წაიღო და შეიძლება ცხენები უკვე დაიხოცა".

**ჯამაგირის მიუღებლობა.** მუშებში მღელვარებაა ჯამაგირის მიუღებლობის გამო. ეკითხებიან „პრომკომებს", კონტორშჩიკებს, მოანგარიშეებს, პროფსოიუზებს, რომლებიც ჯამაგირების მიუღებლობას ხსნიან იმით, რომ ტაბელები ჯერ არ არის შედგენილი. („კომ". № 84)

**მცირე წლოვან მუშების შრომა.** ერთი თვის წინედ კავშირთა საბჭომ დაადგინა 6 საათის სამუშაო დღე შემოიღონ 18 წლის მცირე წლოვან ახალგაზრდა მუშებისათვის. მაგრამ, დღემდე ეს დადგენილება უმეტეს რაიონებში არ გაუტარებიათ ცხოვრებაში. ზოგი კატეგორიულ უარს აცხადებს მცირე წლოვანთათვის 6 საათის სამუშაო დღის გატარებაზე მაგ., მრეწველობის სამმართველომ სურახანში განაცხადა, რომ „თავის თვალებს არ უჯერებენ" და 6 საათის სამუშაო დღეს არ გაატარებენ. ავტოტრანსპორტში კი ახალგაზრდა მუშებს პირდაპირ აღუკრძალეს ამ საკითხის აღძრა. უმეტეს შემთხვევაში კი საქარხნო კომიტეტები (ფაბზავკომები) ამას ხსნიან ტეხნიკურ შეუძლებლობით და აღნიშნავენ, რომ მცირე წლოვან მუშებისთვის 6 საათის სამუშაო დღის შემოღება დეზორგანიზაციას და რღვევას შეიტანს მრეწველობაში".. („კომ." № 83.).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

25 აგვისტო.

## გერმანული ცნობები

**პროფესიონალურ კავშირთა კონგრესი.**

გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა კავშირი და დაქირავებულ მოსამსახურეთა ლიგის კომიტეტი ეკონომიურ, პოლიტიკურ და მათ შორის სოციალისტურ საკითხების განსახილველად პირველად იწვევს თავის საბჭოების კონგრესს.

**რუსეთის ჯარის განიარაღება გერმანიის ტერიტორიაზე.**

თანახმად აღმოსავლეთ გერმანიიდან მოსულ ცნობებისა, რუსეთის 6—7 ათასი ჯარისკაცი ნეიდენბურგის ახლო გერმანიის საზღვარზე გადასულა. მათი განიარაღება მშვიდობიანად ჩატარდა. რუსები მოათავსეს იქ, სადაც 2000 პოლონელი დეზერტირი იყო მოთავსებული.

**გერმანიის ელჩები ბრაზილიაში და არგენტინაში.**

სენატორი ფონ ბეერენბერგი დაინიშნა ბრაზილიაში გერმანიის ელჩად. გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი დაინიშნა გერმანიის ელჩად არგენტინაში.

## ბოლშევიკების ცნობები

**პოლონეთი და ვრანგელი.**

**მოსკოვი.** აგვ. 24. თუ გვინდა განთავისუფლდეთ კაპიტალისტების ულელისაგან, ჩვენ უნდა დავამარცხოთ პოლონეთი და ვრანგელი. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მძიმე დრო დადგა. მას მძიმე და შავი ღრუბლები დააწვა. პოლონეთის თეთრ გვარდიელებმა და ვრანგელის ბანდებმა, რომელთაც მოკავშირეები უწევენ დახმარებას, შემოიკრიბეს ძალები და საშინელი სიმკაცრით ეკვეთენ წითელ არმიელებს.

**ახალი ბრძოლის წინ.**

წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ახალი ბრძოლების წინ" „პრავდა" სწერს: იმის და მიხედვით, თუ როგორია ჩვენი სამხედრო მდგომარეობა პოლონეთის და ბარონ ფონ-ვრანგელის ფრონტზე საფრანგეთი თავის მოქმედებას აცხოველებს. საფრანგეთი ყოველგვარ საშუალებით ცდილობს შევვიშალოს ხელი სკანდინავიის ქვეყნებთან დამოკიდებულების აღდგენაში. იგი უგზავნის პოლონეთს თავის ძალებს, გაძლიერებულად აწვდის სამხედრო მასალას ბარონ ფონ-ვრანგელს. ჩვენმა დამარცხებამ საფრანგეთის ფრთები შეასხა. ბარონ ვრანგელს ლტოლვილთა სახით ჯარისკაცებსა და აფიცრებს უგზავნიან. დანციგის ახლოს საფრანგეთის გემები სამხედრო მასალის გადმოტვირთვას ხელმძღვანელობენ და ამისათვის საჭირო მუშაობას თვალყურს ადევნებენ. ჩვენ ახალ ბრძოლების წინ ვდგევართ. ჩვენ ეხლაც არ შეგვაქვს ჩვენს გამარჯვებაში, მაგრამ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, პანებისა და ბარონების წინაამდეგ ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ აუცილებლად უნდა გაკეთდეს".

**პეტროგრადის პასუხი თეთრ-გვარდიელთა ახალ შეტევაზე.**

გაიგეთ რა პოლონეთის ფრონტზე მტრის შეტევაზე გადმოსვლა და ჩვენი სახელოვანი ჯარების იძულებითი უკან დახევა, პეტროგრადის კომიტეტი და პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ორი საათის განმავლობაში მოახდინოს თავის ორგანიზაციების საუკეთესო წევრთა მობილიზაცია. ვარშავა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ავიღოთ. პოლონეთის პანები ერთხელ და სამუდამოთ უნდა დაილუპონ.

## ლიონის ცნობები

**პოლონეთის გამარჯვება.**

ბოლშევიკური ჯარი, რომელიც მლავის და სოლდაუს რაიონში არის მომწყვდეული, ცდილობს წრის გარღვევას. ორი დღის განმავლობაში პოლონელებმა ამ რაიონში ხელთ იგდეს 11,000 ტყვე პოლონეთის მთავარმა ძალებმა დაიკავეს მთელი ტერიტორია.. (დამახინჯებულია) ნარევსა და ბუგს შორის. ბრძოლა, რომელიც ბუგის მიმდინარეობის შუაგულში დაიწყო, გადასწყვეტს ნარევისა და პრუსიის საზღვარს შორის მყოფ წითელ ჯარების ბედს. ბოლშევიკების ცდა გრუპეშოვთან უშედეგოთ დასრულდა. პოლონეთის ჯარები, რომლებმაც ბრესტლიტოვსკი დაიკავეს მიგრდებიან აღმოსავლეთის საზღვრებზე. (დამახინჯებულია).

**ხელშეკრულება პოლონეთსა და დანციგს შორის.**

დანციგის სოციალისტურმა პრესამ გამოაქვეყნა პოლონეთ-დანციგის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სულ მოკლე დროში განსახილველად დამფუძნებელ კრებას წარედგინება.

თანახმად ამ პროექტისა განზრახულია ორივე სახელმწიფოსათვის ერთი მოსაზღვრე ზონის შექმნა. პოლონეთმა უნდა მიაწოდოს დანციგს სურსათ სანოვაგე და ნახშირი განსაკუთრებულ დაწესებულ ფასებში. დანციგი თავის მხრით უზრუნველყოფს პოლონეთის მიერ ნავთსადგურით და წყლის გზებით სარგებლობას. რკინის გზების საკონტროლოდ შერეული კომისია შესდგება. რაც შეეხება მდინარე ვისლაზე ნაოსნობას, ორივე სახელმწიფო. (დამახინჯებულია).

**მდგომარეობა ზემო სილეზიაში.**

მდგომარეობა ზემო სილეზიაში არ შეცვლილა. კატოვიცში წესიერებას საფრანგეთის ჯარები იცავს. მოკავშირეთა კომისია კატოვიცში წინანდელ მდგომარეობის აღსადგენად ყოველგვარ ზომებს ხმარობს. დაიწყო განიარაღება.

**თათბირი ლიუცერნში.**

პარიზში მყოფმა ინგლისის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს ოფიციალურად აცნობა ტექსტი (დამახინჯებულია), რომელიც ლიუცერნში ლოიდ-ჯორჯის შეხვედრის შემდეგ შემუშავდა. ამ ცნობის საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრმა ინგლისის საელჩოში შემდეგი ნოტა გაგზავნა: საფრანგეთის მთავრობა მადლობას უთვლის ინგლისის და იტალიის მთავრობებს ცნობის გამოგზავნისათვის და ბედნიერია მით, რომ ცნობაში არ არის არაფერი ისეთი, რაც ეწინააღმდეგებოდეს იმ იდეებს და პრინციპებს რომელსაც საფრანგეთი იცავს. მიიღო რა ლიუცერნიდან გამოგზავნილი ლოიდ-ჯორჯისა და ჯიოლიტის დეპეშა, მილიერანმა თავის პასუხში განაცხადა, რომ იგი ნასიამოვნებია მათი ყურადღებით და იმედი აქვს, რომ მალე პირადათ შეხვდება, როგორც ჯიოლიტს, ისე ლოიდ ჯორჯს.

კოკუზაის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, რომ საფრანგეთის პრესა იმ თათბირის შედეგს, რომელიც ლიუცერნში შესდგა სიამოვნებით ეგებება. ეს ნიშნავს იმას, რომ დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობები მომავალში საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმებით იმოქმედებენ. პოლონეთის და რუსეთის შესახებ, ინგლისის და იტალიის წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ აღიარებით, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული პირობები ყოვლად მიუღებელია. საფრანგეთი კმაყოფილებას გამოსთქვამს რომ ინგლისმა და იტალიამ ამ ჟამად საფრანგეთის თვალსაზრისი გაიზიარეს. ამ რიგად საბჭოთა რუსეთის იმედები, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში უთანხმოების შექმნის დაიმსხვრა.

**საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში.**

გრაფი დე-მარტელი, საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი, ვრანგელის მთავრობასთან საფრანგეთის უმაღლეს კომისრად დაინიშნა; სრულ უფლებიანი მინისტრი შევალე კი დაინიშნა, უმაღლეს კომისრათ საქართველოს მთავრობასთან.

**რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება.**

თანახმად ვარშავიდან მოსულ ცნობებისა, მიუხედავად საბჭოთა რუსეთის დელეგაციის განცხადებისა, დამოკიდებულება პოლონეთის დელეგაციასთან ძლიერ გაძლიერებულია. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, საპეგამ ჩიჩერინს გაუგზავნა რადიო დეპეშა, რომელშიაც იგი იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმად დაპირებისა, პოლონეთის დელეგაციასთან დამოკიდებულების დაჭერის შესაძლებლობას მოგვცემსო.

**ომის მიზანი.**

„პტი პარიზიენი" ბეჭდავს ლონდონში მყოფ პოლონეთის ელჩის განცხადებას. პოლონეთი აწარმოებს ომს იმ მიზნით, რომ ბოლშევიკები განდევნონ პოლონეთის ტერიტორიიდან, ჩვენ გვინდა რაც შეიძლება ჩქარა, მოვაწეროთ ხელი ზავს, მაგრამ ჩვენ არ მივიღებთ იმ პირებს, რომლებიც (დამახინჯებულია)

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.**

25 აგვისტო.

**სამხედრო ცნობა.** 24 აგ. (რადიო) ბრესტლიტოვსკის და ვლადოვის რაიონში სწარმოებს ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლა ცვალებადი შედეგისა. ლვოვის აღმოსავლეთით განვაგრძობთ ჩვენი ოპერაციების მარჯვეთ განვითარებას. მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს და კონტრ-იერიშებს აწარმოებს. გალიჩის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. გნილაია ლიპაზე გავიდა და მასზე გადასასვლელათ იბრძვის. ყირიმის ფრონტზე დნეპრის მარცხენა მხარეზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ სწარმოებს.

**მილიტების დასავლეთის ფრონტის გაძლიერება.**

**სტამბოლი,** 15 აგვ. გაზ. „პროდოს"-ის ცნობით ადანის და სომხეთის ფრონტიდან და შავი ზღვის სანაპიროდან მუსტაფა ქემალს ჯარები გადაყავს დასავლეთის ფრონტის გასაძლიერებლათ, რითაც არამც თუ შეაჩეროს ბერძნების წინსვლა, არამედ განდევნოს კიდეც ისინი სმირნიდან.

**ხილოხის ამბები.**

**სტამბოლი,** 17 აგვ. „ბოსფორ" ის ცნობით, ნაციონალისტების ძლიერი კოლონა 75 მილიმეტრიან 8 ზარბაზნით ნიკეის ტბის სამხრეთის ნაპირით წინ მიიწევს. პირველი წინააღმდეგობა მას გაუწიეს ნარლკეჯში, რომელიც ზარბაზნებით გაანადგურეს. სოფელი დასწვეს, მცხოვრებნი მთებში გაიქცნენ. კოლონამ გაანადგურა ოსმალური სოფლები სამაჯიე და ხეჯილიარი. ტბის ჩრდილოეთით ყველა ოსმალური სოფლები—მილისტების მხარეზეა. სომხური სოფ. კერამეტის, ნორენ კიუგის და ჩენგილერის მცხოვრებნი მთებში გაიქცნენ. მთელი ოლქი ტრაღიკულ მდგომარეობაშია. ნაციონალისტების წინსვლის მიზანია გემლიკის აღება. ბერძნები სელენიდან 15 კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან.

**წითელ ფრონტებზე.**

**ბაქო.** 25 აგვ. ყუბანში გადმოსხმულ ვრანგელის დესანტს ვამარცხებთ. სტანიცა ოლგინსკაიას აღებით დესანტს ზურგში რკინის გზა მოვუჭერით. ტომაშევსკაიას რაიონში მტერი მკაცრ წინააღმდეგობას გვიწევს. ანაპის სამხრეთით დესანტს ზღვისკენ უკან დავახევინეთ და, ალბათ, უახლოეს დღეებში მის სრულ ლიკვიდაციას მოვახდენთ.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

25 აგვისტო.

**ინფორმაცია ბათომის შესახებ.**

**პარიზი.** 12 აგვ. „ტანი" იუწყება, რომ ბათომისა და მისი ოლქის საქართველოზე გადაცემის შემდეგ იქ საგანგებო წესიერება დამყარდაო. უცხოეთის სავაჭრო გემები ნავთსადგურში წინანდებურად ნორმალურად შედიან. სავაჭრო დამოკიდებულება ევროპასთან დაუბრკოლებლივ ვითარდება.

**ბოლშევიკები თურქესტანში.**

**სტამბოლი** აგვ. 22. მიღებულია ცნობები თურქესტანში ბოლშევიკების მოღვაწეობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით ბოლშევიკებმა რაკი დაკარგეს იმედი თავის მოძღვრების გერმანიაში გავრცელებისა, დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოიტანეს თავის მოღვაწეობა. ამ მოღვაწეებს სათავეში უდგია ელიავა, რომელიც უკვე გაიგზავნა თურქესტანში. მიუხედავათ ელიავას მიერ მიღებულ ენერგიულ ზომებისა, ბოლშევიზმმა თურქესტანში მაინც ვერ ჰპოვა სათანადო ნიადაგი. ამასთანავე ბოლშევიკები იმუშავებენ აღმოსავლეთში და უმთავრესად ინდოეთში მუშაობის გეგმას. თავის განზრახვას იმით ასაბუთებენ, რომ ინგლისის მუშები მანამ არ მიიღებენ ბოლშევიზმს, სანამ ინგლისს ახალშენები ექნება. ინგლისს, როგორც კი დაეკარგება ახალშენები, მაშინ ინგლისის მუშას შემოაკლდება შემოსავალი და ძალაუნებურად შესდგება ბოლშევიზმის გზაზეო. ამ გაცხარებულ მუშაობის დროს ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ გამოვიდა პოლონეთი, რომელმაც ხელი შეუშალა ბოლშევიკების ამ მიზნის სასწრაფოდ განხორციელებას.

**ბეჭდვითი საქმის გაძვირება.**

**ბერლინი.** აგვ. 10. გაზეთების ცნობით ბერლინის სამეცნიერო აკადემიამ შეწყვიტა თავის შრომათა გამოცემა გერმანიაში წიგნის ბეჭდვის საშინლად გაძვირების გამო.

**ჩრდილო შლეზვიგი.**

**კოპენჰაგენი.** აგვ. 13. დანიის მთავრობამ ხელი მოაწერა ჩრდილოეთ შლეზვიგის დანიაზე შეერთების აქტს.

**შრომის ხელფასი და სიძვირე.**

**ლონდონი.** აგვ. 12. „ტაიმსი" სწერს: ინგლისის რკინის გზის მოსამსახურეთა კონფერენციამ გამოიტანა შრომის ხელფასის გადიდების საწინააღმდეგო რეზოლიუცია. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ცხოვრების გაძვირებას იწვევს მსოფლიო მეურნეობის დანგრევა და ქაღალდის ფულის სიმრავლე. შეკავშირებული მუშები უნდა შეეცადონ ამ მიზეზების მოსპობას. შრომის ხელფასის ზრდა აძლიერებს ცხოვრების გაძვირებას და ამიტომაც მუშებმა თავი უნდა შეიკავონ შრომის ხელფასის მომატების მოთხოვნაზე.

**ბოლშევიკების იარაღი ქემალ ფაშას.**

**სტამბოლი.** აგვ. 10. „ჟურნალი დორიანტი" იუწყება: ინგლისის ნაოსანმა დაიკავა ბოლშევიკების გემი დატვირთული იარაღით და სამხედრო მასალით: გემი ოდესიდან ტრაპიზონს მიდიოდა. ეს იარაღი ქემალისტებისათვის იგზავნებოდა.

**ესერების დაპატიმრება მოსკოვში.**

**სტამბოლი.** აგვ. 12. მოსკოვიდან მიღებული ცნობით იქ ამ დღეებში მრავლად დაუპატიმრებიათ სოციალისტები და უმთავრესად ს. რ. სხვათა შორის დაპატიმრებულია ვოლსკი და რაკიტნიკოვი. გაძლიერებულად ეძებენ ვიქტორ ჩერნოვს.

**აღერბეიჯანის დელეგაციის ნოტა.**

**პარიზი.** აგვ. 10 „ტანი" სწერს: აღერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგაციამ სპას კონფერენციას ორი ნოტა წარუდგინა. პირველ ნოტაში აღნიშნულია რესპუბლიკის მდგომარეობა და ის პირობები, რომელშიაც ბოლშევიკებმა აღერბეიჯანი დაიკავეს. საბჭოთა რუსეთის შეპირება, რომ პატივისცემით მოეპყრობოდენ აღერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, არ იქნა შესრულებული. დახვრიტეს მთავრობის წევრები და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები. სახელმწიფო ქონებას რეკვიზიცია უყვეს და ხალხს გადასახადები დაადვეს. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა წმინდა დაპყრობითი პოლიტიკა შეიქნა და ხალხი პროტესტს აცხადებს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. ნოტაში მოთხოვნილია მოკავშირეების დახმარება ბოლშევიკებისაგან თავის დასახსნელად. მეორე ნოტაში აღერბეიჯანის დელეგაციის წევრები თხოულობენ, რომ მისცენ მათ ნება დაესწრონ ლონდონის კონფერენციას, რომელიც გამოარკვევს საბჭოთა რუსეთის ახლად შექმნილ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებას. აღერბეიჯანის დელეგაციის აზრით ამ კონფერენციას უნდა უნდა დაესწრონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებიც და მათ რიცხვში აღერბეიჯანისაც. „ტანის" ცნობით აღერბეიჯანის დელეგაცია მიიღო გრაფმა სფორცამ და ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა.

**საბჭოთა რუსეთის მცხოვრებნი.**

**სევასტოპოლი.** აგვ. 12 „იუგოროსიი" იუწყება: მოსკოვის ეკონომიურმა თათბირმა საბჭოთა რუსეთის მცხოვრებთა აღწერის შედეგები გამოაქვეყნა. თანახმად ამ აღწერისა რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი 82.200.000 აღწევს. ამ რიცხვიდან რიცხვი მუშებისა და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა 10.500.000 ესე იგი 12,8% უდრის მარტო მუშები მათი ოჯახების გამოკლებით 4.800.000 სულს უდრის. აღწერა მუშებს შორის დაბადებათა შემცირებასა და სიკვდილის გადიდებას აღნიშნავს. კერძოთ მოსკოვის და პეტროგრადის მცხოვრებნი 2.400.000 სულს აღწევს. ამ რიცხვიდან 75%-ს შეადგენენ მუშები და საბჭოთა მოსამსახურენი.

**საბჭოთა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა.**

**ლონდონი,** აგვ. 8. ეკონომიური პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას. ვიქტორ ფიშენი ერთ-ერთ ჟურნალში რუსეთის ეკონომიურ სულთა ბრძოლას აღნიშნავს და ამბობს, რომ რუსეთს არაფრის გატანა არ შეუძლია თავის საზღვრებიდანო". საბჭოთა მთავრობა, ამბობს ავტორი, მის მიერ დამზადებულ 15 მილ. ტონ ხორბალზე მიგვითითებს, მაგრამ 1912 წელში, როდესაც რუსეთში პურის საუკეთესო მოსავალი იყო, ძლივს ამ ციფრის ნახევარზე მეტი იყო გამოტანილი. თუ მართლაც ასეთი დიდძალი ხორბალი იყოს დამზადებული. საკვირველია, რატომ არ აწოდებს საბჭოთა მთავრობა ამ პურს თავისავე დამშეულ ამხანაგებს. რუსეთის მდგომარეობა თავის თავად მეტყველებს: რუსეთის მანეთის კურსის საშინელი დაცემა ნიშნავს რუსეთის სრულ გაკოტრებას. საქმე არა მარტო მრეწველობის დაცემაშია, არამედ იმაში, რომ მიწის დამუშავება 70%-ით შემცირდა.

**პოლონეთის ფრონტზე.**

**ბათომი.** (რადიო-ცნობა) ბათომიდან აგვისტოს 22 მიღებული ცნობით პოლონელებმა ბოლშევიკები მიუშვეს ქალაქის გარე ფორტებთან და შემდეგ ორივე მხრივ კონტრ-შეტევაზე გადავიდნენ. პირველი შეტევა მიმართული იყო ივანგოროდიდან ბრესტლიტოვსკისაკენ. შეტევას ხელმძღვანელობდა მარშალი პილსუდსკი. მეორე მხრივ შეუტიეს ნოვოგიორგიევსკისკენ მდინარე ნარიოვის ჩრდილოეთით. შეუტიეს აგრეთვე მესამე მხრიდან, ვარშავა-დანციგის-რკინის გზის მიმართულებით.

ორივე კონტრ-შეტევით მიზანს მალე მიაღწიეს. მდინარე ნარ ოვის მარჯვენა ნაპირი დემბერგისა და ნარიოვის შესართავთან ფორტები პოლონელებმა უკან დაიბრუნეს და აღადგინეს ვარშავის დაცვის ბუნებრივი ხაზი.

პილსუდსკის ჯარმა ვიპრიდან მოკიდებული ნაროვიტნამდი 40—70 კილომეტრის სიგრძეზე გარეკა მტერი. ვარშავადანციგის ხაზზე გაიეს სამხრეთით 5 კილომეტრზე წინ წაიწიეს. ამგვარად, ტორნისა და პლოცკისკენ წამოსულ ბოლშევიკურ ჯარებს სასწრაფოდ უკან უნდა დაეხიათ.

**ეგვიპტის საკითხი.**

ეგვიპტის ნაციონალისტთა დელეგაციის წევრები, რომელთაც მოლაპარაკება ქონდათ ლონდონში ბრიტანეთის მთავრობასთან, საფრანგეთში გავლით ეგვიპტისაკენ გაემგზავრენ. მთავარი საკითხები დადებითად იქნა გადაწყვეტილი. დელეგაციის წევრები მიდიან—ეგვიპტეს მოლაპარაკების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად. იმედია, რომ შეთანხმება მოხდება და სათანადო ხელშეკრულებაც დაიდება.

**ბერლინიდან** იუწყებიან: რუსეთის 12 ათასი ჯარის კაცი გერმანიის საზღვრებზე გადმოვიდაო.

# სომხეთში

**გარეშე საფრთხის წინააღმდეგ.**

**ერევანი,** აგვ. 22. სომხური პრესა ეხება სომხეთისა და საქართველოს გარეშე საფრთხის საკითხს. პრესას საჭიროდ მიაჩნია ორივე რესპუბლიკის სოლიდარული მოქმედება და აღნიშნავს საქართველოსთან კავშირის აუცილებელ საჭიროებას. (დს).

**თავდაცვისათვის.**

**ყარსი.** კომენდანტ ფირუმიანის განკარგულებით მამაკაცნი 19—45 წლამდე, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ვარჯიშობაში; ვარჯიშობაში მონაწილეობას იღებენ ყველა კატეგორიის მამაკაცები, დაწყებული სამინისტროს დაწესებულებათა წარმომადგენლებიდან, გათავებული ჩვეულებრივი მოქალაქით. მცხოვრებნი გულმოდგინეთ ემზადებიან თავდაცვისათვის. („სლ."

მახლობელ აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტის გენერალურმა სეკრეტარმა ვაკრიმ მოიარა სომხეთი და ჟენევას გაემგზავრა სომხეთის მეგობართა მომავალ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად.

ამ ცოტა ხანში მოელიან სომხეთის რკინის გზებზე ნაწილობრივად მოძრაობის განახლებას.

# ბათომი

**გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ.**

გადამდებ სნეულებასთან ბრძოლის მიზნით ქალაქი დაიყო 13 საექიმო პუნქტად. თვითეულ პუნქტში 5—6 ათასი მცხოვრებია. ამასთანავე შესდგა გადამდებ სნეულებასთან მებრძოლი საბჭო. აღმასრულებელი პუნქტები შეიქმნა განსაკუთრებულ კომისიას, რომლის სათავეში სდგას ბათომისა და მისი ოლქის განსაკუთრებული კომისარი და რომლის შემადგენლობაშიაც შედის საზოგადოებრივ დაწესებულებებისა და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. (დ. ს.)

**მილიციაში.**

ბათომის ქალაქის მილიციის უფრ. თანაშემწეთ ნ. გაბუნია დაინიშნა. მასვე დაე-

ველა სისხლის სამართლის მილიციის ბიუროს უფროსობა.

სომხეთის გენერალურ კონსულის ათაბეგიანისაგან ბათომისა და მისი ოლქის განსაკუთრებულმა კომისარმა მიიღო სამადლობელი დეპეშა კომისრის მიერ 50 ათასი მანეთის ობოლ სომეხთა სახლისათვის შეწირვის გამო. დეპეშაში გამოთქმულია სურვილი კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა ამ ორ მოძმე ხალხთა შორის.

**საგანგებო კომისრის გამგზავრება.**

ბათომისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარი აბასთუმანს წავიდა, საიდანაც იგი თფილისს ჩავა. მისი მოვალეობის ასრულება დაევალა ბათომისა და მის ოლქში მდგომ ჯარების სარდალს გენერალ მდივანს, რომელიც აგვისტოს 23 თვის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

## საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან

**ოფიციალური განცხადება**

საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ცნობები, რომ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე არსებულნი ქართველთა ეროვნული საბჭოები ხშირად ითვისებენ მთავრობის ორგანოთა უფლებას: კისრულობენ მთავრობის წარმომადგენლობას და, როგორც ასეთნი, იძლევიან მოწმობებსა და სხვა საბუთებს; სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ საბჭოთა განცხადებას ან მათ მიერ გაცემულ ქაღალდებს ოფიციალური ძალა არა აქვთ, რადგან ეს დაწესებულებანი მთავრობისაგან არ არიან სამისო უფლებით აღჭურვილნი.

# ახალი ამბები

**ლტოლვილი სომხები.** საქართველოში მყოფმა სომხების დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას სთხოვა, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე გაუშვას საბჭოთა რუსეთიდან 4,000 ლტოლვილი სომეხი. შუამდგომლობა საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა.

◆ **დამატების მიცემა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის.** შრომის სამინისტრომ მიმართა სახელმწიფო დაწესებულებებს შემდეგი შინაარსის ცირკულიარით: თანახმად დამფუძნებელ კრების ა. წ. 6 აგვისტოს დეკრეტისა. სახელმწიფო მოსამსახურეებს ჯამაგირები უნდა მიუმატონ 1 ამა აგვისტოდან 50—100 %-დე. რადგანაც ძლიერ საჭიროა დაწესებული მომატება დროზე მიიღონ მოსამსახურეებმა, შრომის სამინისტრო სთხოვს სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა უფროსებს, რათა საჩქაროდ იქნეს შედგენილი ჯამაგირის მისაღებათ სიები, თანახმად 16 აგვისტოს დეკრეტისა. რადგანაც მომატება გატარებული უნდა იქნეს ისე, რომ მოსამსახურე წინა კატეგორიისა არ იღებდეს იმდენს, რამდენსაც იღებს მომყოლი კატეგორიის მოსამსახურე, ამისათვის შრომის სამინისტრო წინადადებას იძლევა იხელმძღვანელონ შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ სქემებით, რაც სახელმწიფო დაწესებულებებს უკვე დაეგზავნა.

◆ **მარგანეცის ექსპორტი.** თანახმად „ჩმო"-ს ცნობებისა ამ უკანასკნელ დღეებში გასულა მარგანეცით დატვირთული შემდეგი გემები: ჰოლანდიაში „ანტვერპენი" 4500 ტონი მარგანეცით, ამერიკაში „ბილანდი" 4000 ტონით, ინგლისში „ვიქტორია" 4000 ტონით. აგვისტოს 17 იტალიაში გავიდა ორი გემი, რომელმაც 4000 ტონი მარგანეცი წაიღო.

◆ **სურსათ-სანოვაგის მიწოდება ბაქოში მყოფ ინგლისელ ტყვეებისათვის.** აგვისტოს 21 ამიერ-კავკასიაში მყოფმა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ლიუკმა, ბაქოში მყოფ ინგლისელ ტყვეებისათვის ერთი ვაგონი სხვა და სხვა საქონელი და სურსათ სანოვაგე გაგზავნა.

◆ **ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ქუთაისის, ლეჩხუმის და რაჭის სამაზრო მილიციის უფროსებს, რომ მიიღონ საგანგებო ზომები ცარცვა-გლეჯის მოსასპობათ და მოგზაურობის უზრუნველსაყოფად.

◆ **სახელმწიფო თეატრის ხელოვნების კომისიამ** დაადგინა 1) სთხოვოს განათლების სამინისტროს არ მისცეს არავის უფლება თფილისში კერძო საოპერო დასის შედგენისა მინისტრის ნებართვით, 2) დაამტკიცოს სახელმწიფო თეატრში წინეთ არსებული დისციპლინის წესები, 3) შეამციროს თეატრის ექიმთა რიცხვი 7-დან სამამდე და 4) მოიწვიოს სახელმწიფო ოპერის გამგედ ფვლახიშვილი.

◆ **სახელმწიფო ბანკის გამგეობამ** აგვისტოს 23 ბალანსი შეადგინა: კასის აქტივი—548,363,000 მან.; მიმდინარე ანგარიში ხაზინაში—905,000 მან., ნუსხვა თამასუქთა სავაჭრო ვალდებულებათა და სასწრაფო ქაღალდებისა—6,315,000 მან.; სესხი და საგანგებო მიადინარე ხარჯები—28,388,000 მან., თამასუქის ქაღალდები და საღერბო მარკები—1,134,000 მან., მოწყობა და მოწესრიგება—157,000 მან., ამრიგად აქტივი—586,483,000 მან., ბანკის პასივი: ძირითადი თანხა 50 მილ. მან, მოსამსახურეთა საპენსიო კასა—11,000 მან.; შეტანილი ფული და მიმდინარე ანგარიშები:—535,037,000 მან.; ოპერაციებიდან მიღებული პროცენტები—320,000 მან.; საერთოდ 585,486,000 მან. გარდა ამისა ბალანსში არ არის შეტანილი 121,695,000 მან. და სხვ.

◆ **რკინის გზის მთავარ სახელოსნოების** უფროსი თავის მოხსენებაში ეხება ამ სახელოსნოებში არსებულ მუშაობას. ვაგონების მკეთებელ სახელოსნოებში 367 ხელოსანი ითვლებოდა. დიდი შეკეთება სჭირდებოდა და შეაკეთე' 48 საკლასო ვაგონი. საშუალოდ შეაკეთეს 43 ვაგონი, სასწრაფოდ გაუსინჯავთ 22 ვაგონი და ცოტათი შეუკეთებიათ 96 ვაგონი. შეაკეთეს აგრეთვე საბარგო მრავალი ვაგონი. საღებრო განყოფილებაში შეღებეს 75 ორთქლმავალი, 209 საკლასო ვაგონი და 1003 საბარგო ვაგონი და ცისტერნი. ამას გარდა, შეასრულეს მთელი რიგი სახაზინო და კერძო პირთა შემონაკვეთი საქმისა. მოაწყვეს ელექტრონის განათებით მატარებელი აბანო, 3 რესტორანი ვაგონი და 46 სხვადასხვა ვაგონი. ელექტრონის განათება მოაწყვეს 13 სამგზავრო მატარებლის ვაგონში.

◆ **ოზურგეთის სამაზრო ერობამ** აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მობილიზაციის გამოცხადებისთანავე დაარსდა სარაიონო კომიტეტები მობილიზაციით გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლად სამაზრო ერობის ხელმძღვანელობით. სარაიონო კომისიები ეხმარება მობილიზაციით გაწვეულთ ოჯახებს მოსავლის მოწევაში და შეძლებისდა გვარად მათ ნივთიერ დახმარებასაც აძლევს.

◆ **თფილისის ტანსავარჯიშო საზოგადოება.** „შევარდენი" მიმდინარე წლის სექტემბერში მოაწყობს საჯარო ვარჯიშობას დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში: ბათომში 5-ს, ფოთში—7-ს, ახალ-სენაკში—9 ს, სამტრედიაში—10-ს და დიდ-ჯიხაიშში—12 სექტ. ვარჯიშობაში მონაწილეობენ წურთნილი ვაჟები და ქალები.

◆ **ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის** კოლექტივი აცხადებს რაიონის წევრთა საყურადღებოთ, რომ დაუყონებლივ შემოიტანონ საწევრო გადასახადები წარსულ წლისა და მიმდინარე წლის, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი მიმართავს სხვა ზომებს.

◆ **ქვრივ არხ. ჩხიკვაძის ობლების** სასარგებლოთ ტრამვაიის სახელოსნოს მუშების შრომის მოგროვილ იქნა 4429 მან. ამ ფულიდან 800 მან. შესყიდულ იქნა კუბო. დარჩენილი ფული გადაეცა ერმილე ბურჭულაძისაგან დანიშნულისამებრ. ზემო აღნიშნული ფული მივიღე, რაზედაც ყველას მადლობას უცხადებთ ვინც შეგვიდა ჩემს უნუგეშო მდგომარეობაში ელისაბედ ჩხიკვაძე.

**ქ რ ო ნ ი კ ა.**

დღეს, 26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მეორე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, 26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. წევრების დასწრება აუცილებელია, რადგანაც ფრიად საჭირო და საყურადღებო კითხვებია გასარჩევი.

— 26 აგვისტოს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა კოლექტივის ბინაზე (ბებუთოვის ქ. № 22).

— ხუთშაბათს, 26 მარიამობისთვეს საღ. 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. (კახეთის ქ. № 1).

# ქუთაისი

**თეატრი.**

ქალაქის თვითმართველობა თეატრის გადაკეთებას შეუდგა. დასის შედგენა და სათეატრო საქმის ხელმძღვანელობა მიმდინარე წელს შ. დადიანს მიენდო.

**საკომისიო საზოგადოება.**

„საკომისიო საზოგადოება" მოქმედებას შეუდგა. საზოგადოებაში დასავლეთ საქართველოს კოოპერატივები და ქალაქის თვითმართველობანი იღებენ მონაწილეობას. საზოგადოების მიზანია საზღვარ გარეთ სხვადასხვა საქონლის შესყიდვა და მათი მცხოვრებთათვის მიწოდება.

**რკინის გზის ვიწრო ლიანდაგი ქალაქში.**

მუშავდება პროექტი სადგურიდან ქალაქის საავადმყოფომდე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანისა.

**წყალსადენის საქმე.**

ქუთაისის ქალაქის საბჭომ ინჟინერ ყაუხჩიშვილს დაავალა გამოიკვლიოს, თუ რა პირობებში და ევროპის რომელ ქალაქშია შესაძლებელი წყალსადენის საჭიროებისათვის მილების და სხვა მასალების შეძენა. ამ დღეებში ლონდონიდან ცნობა მოვიდა, რომ ქუთაისის წყალსადენის საჭიროებისათვის შედარებით იაფ ფასებში ყოველგვარი მასალის და მილების შეძენა შესაძლებელია ლონდონშიო.

**ნაპარავი საქონლის აღმოჩენა**

ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ საეჭვო პირებს ბაზარზე გამოჰქონდათ და ყიდიდენ სახაზინო საცვლებს. თვალყურის დევნების შემდეგ მან დააპატიმრა ჯარის კაცი პროკოფი პატარიძე. დაკითხვიდან და საქმის გამოძიებიდან გამოირკვა, რომ სახაზინო საქონელი, რომელიც ბაზარზე გამოჰქონდათ გასაყიდათ, მოპარული იყო სამხედრო სასურსათო საწყობიდან. მილიციის უფროსმა საწყობიდან მოპარული 500,000 მანეთის საქონელი უკვე აღმოაჩინა და ზომები მიიღო დანარჩენი ნაპარავი საქონლის აღმოსაჩენად. ამ საქმეზე ჯერ-ჯერობით შეიპყრეს და ციხეში მოათავსეს: პრ. პატარიძე, სილ. დათუაძე, ვ. ბურჯანაძე, ალ. კანდელაკი და ს. ჩხიკვიშვილი.

**ქალაქის მამულების ცნობაში მოყვანა.**

ქალაქის ბევრი მამული სხვადასხვა პირებზე დღემდე უწესრიგოთ იყო გაცემული და ცნობაში არ იყო მოყვანილი. ქალაქის მოურავმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და სასწრაფოდ შეუდგა გამოკვლევას, თუ რომელ უბანში ამ ჟამად რამდენი ნაჭერი მამული აქვს ქალაქს, ვის ხელშია ეს მამულები ეხლა და თითეულ იმ პირს, რომელიც ეხლა ფაქტიურათ ფლობს ქალაქის მამულს ამისათვის სათანადო ქაღალდი ქალაქიდან აქვს თუ არა.

**ფრონტისთვის.**

ფრონტის დამხმარე კომიტეტის საშუალებათა გასაძლიერებლად. ქართველმა ისრაელებმა ურთიერთ შორის ამ დღეებში მოაგროვეს 213,750 მან.

**ბოროტ-მოქმედება სურსათის ბარათებით.**

18 აგვისტოს მუშათა მაგიდის რწმუნებულმა ა. ხვიჩიამ აღმოაჩინა მთელი რიგი ბოროტ-მოქმედებისა, რომელიც კლასიკურ გიმნაზიის ეკონომ. მეთაურობით ხდებოდა. დღეში დაახლოვებით ფუთ-ნახევარ პურს ყიდდენ კერძო პირებზე გირვანქას 50 მანეთად. რწმუნებულმა შესაფერი ოქმი შეადგინა.

**გ ა ფ ი ც ვ ა.**

19 აგვისტოდან ევროპიული ფეხსაცმელის ზოგიერთ ქარხნებში მეპატრონეთა მხრით „ერთი თვის დასვენების" დარღვევის გამო დაიწყო გაფიცვა, რომელიც მშვიდობიანად მიმდინარეობს.

— **ფასები ბაზარზე.** შემოტანილი სანოვაგის ფასები დაეცა. სიმინდის ფქვილი—1500 მან. 1 ფუთი, სიმინდი—1400 მან. პურის ფქვილი ადგილობრივი 1500 მან. კართოფილი 350 მან. ლობიო წითელი კარ. 1200 მან. ხახვი ადგილობრივი საუკეთესო 500 მ. ნიორი კარგი ხარისხის 300 მან. პამიდორი 80 მან. ყველი იმერული 2500 მანეთი.

—

მ. დუნდუას საქალო გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 8-დან. თავისუფალი ადგილები არის პირველიდან მეექვსე კლასამდე. თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველ დღე დილის 9 ს. 2 საათამდე ბალახვანის ქუჩა, ყოფილ სახაზინო პალატის პირდაპირ.

## სატარიფო პალატის ცირკულიარი

(ყველა მუშათა და დამქირავებელთა ორგანიზაციებს, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, ქალაქის და საერობო თვითმართველობებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს და კომისრებს).

ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ხელფასის გადიდების გამო სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ა. წ. 17 აგვისტოს სხდომაზე 28 ივლისის № 5013 ცირკულიარის შესაცვლელათ დაადგინა:

იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც სახელმწიფო მომარაგების ფონდით არ სარგებლობენ, დამქირავებლები მოვალენი არიან ხელფასის ტარიფის გარდა მისცენ ზედმეტი ჯილდო ტარიფის 25 პროცენტის რაოდენობისა, ხოლო არა ნაკლებ 50 მან. და არა უმეტეს 90 მანეთისა დღეში, ანუ არა ნაკლებ 1250 მან. და არა უმეტეს 2350 მანეთისა თვეში.

დადგენილება ესე შედის ძალაში ა. წ. 1 აგვისტოდან და ძალაშია მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მომარაგების ფონდის განყოფილებები მოქმედებენ.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე ი. გოლდმანი.

## მასალები მუშათა დელეგაციისთვის

**ერობათა მოქმედება.**

ერობათა კავშირმა რესპუბლიკის საერობო დაწესებულებათა მოქმედების შესახებ მოხსენება შეიმუშავა, რომელიც რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციას გადაეცა. მოხსენება შემდეგს შეიცავს: საქართველოს რესპუბლიკაში 20 სამაზრო ერობა და 356 თემი არის მოწყობილი. ამ რიცხვში არ შედის ბათომის ოლქი.

ერობათა თვითმართველობების ხმოსანთა არჩევნები თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭის ყრით ხდება. არჩევნები პროპორციულ პრინციპზე არის აგებული. ნორჩ საერობო დაწესებულებათ ძნელ პირობებში მოუხდათ მუშაობა, მაგრამ ერობებმა მცხოვრებთა საერთო ნდობა მაინც დაიმსახურეს. განსაკუთრებული მწვავე ხასიათი სასურსათო საკითხმა მიიღო. ამიტომ ერობები, რომ შეემსუბუქებინათ მცხოვრებთა მდგომარეობა, იძულებულნი იყვნენ თითქმის ყოველ მაზრაში სასურსათო მაღაზიები მოეწყოთ. ამასთანავე საერობო დაწესებულებათა ორგანოები მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ ცნობებს კრებს. სურსათ-სანოვაგეს სამაზრო ერობები აგროვებენ თავის ხელში, დანაკლისს ყიდულობენ და შემდეგ აწესრიგებენ მცხოვრებთა შორის, იმის და მიხედვით, თუ ვინ როგორ გაჭირვებას განიცდის. ამასთანავე საერობო დაწესებულებანი— მომარაგების სამინისტროს მიერ სასურსათო გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად ყოველგვარ ზომებს ღებულობენ. აგრეთვე ერობები იღებენ ზომებს რაიონების ეკონომიურ კეთილდღეობის განსამტკიცებლად: ამ მიზნით სდებენ სათანადო თანხებს: ზუგდიდის სამაზრო ერობამ ამ მიზნის განსახორციელებლად 7 მილ. მანეთზე მეტი გადასდო, ბორჩალოს სამაზრო ერობამ—12 მილ. მან. მეტი, გორის სამაზრო ერობამ დაახლოვებით 3 მილ. მან., თიანეთის ერობამ 2 მილ. მან.; და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას სამაზრო ერობები სახალხო განათლების საქმეს აქცევენ: გახსნილია საშუალო და დაბალი სასწავლებლები, მოწყობილია კურსები, საკვირაო სკოლები, სამკითხველოები და სხვ. თფილისის სამაზრო ერობამ განათლების საქმეზე თავის წლიურ ბიუჯეტის მერვე ნაწილი დახარჯა; გორის სამაზრო ერობამ წლიურ 50 მილ. მან. ბიუჯეტიდან 9 მილ. სახალხო განათლების საქმეს მოანდომა, შორაპნის ერობამ 43 მილიონი მანეთიდან სახალხო განათლების საქმისათვის 12 მილიონი მან. გადასდო, ოზურგეთის ერობამ 35 მილ. მანეთიდან 21 მილ. მანეთი და სხვა.

სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე საექიმო სასანიტარო და სავეტერინარო საქმეებს. ასეთივე ყურადღებით ეპყრობა სამაზრო ერობა საგზაო აღმშენებლობას და სხ. სამაზრო ერობებმა და ზოგიერთმა თემებმაც საერობო აფთიაქები გახსნეს: ოზურგეთის საერობო თვითმართველობამ 5 აფთიაქი გახსნა; ქუთაისის ერობამ—5: სენაკისამ—6 და სხვა.

ადგილობრივ პირობების ბუნებრივ სიმდიდრის და თვით მცხოვრებთა მოთხოვნილებების თანახმად ადგილობრივ რაიონებში მრეწველობის ესა თუ ის დარგი ვითარდება. ეწყობა კარგი მექანიკური სახელოსნოები და ტყის სახერხი ქარხნები და წისქვილები. ასეთი ქარხნები მოწყობილია გორის, თიანეთის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გუმისტანის და სხ. სამაზრო ერობების მიერ. სენაკის სამაზრო ერობამ, გარდა ამისა, კარგად მოაწყო ქსოვის საქმე. აქვე მექანიკურ სახელოსნოსთან მოწყობილია სახარატო, საზეინკალო, სასხმო და სადურგლო საამქროები. დიდძალი თანხები გადასდო აგრეთვე ერობამ რკინის გზების და სამკურნალო წყლების საჭიროებისათვის. კერძოთ სიღნაღის და კოდორის ერობები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ უკეთესად მოაწყონ განთქმული ახტალის ტალახიანი აბანოები და ტყვარჩელის წყლები. თავის მხრივ ერობათა კავშირი მრეწველობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს. ქალაქებში მან ცენტრალური სახელოსნოები მოაწყო, გახსნილია დიდი ტყის სახერხი, საპნისა და სხვა ქარხნები. ერობათა კავშირი აწარმოებს აგრეთვე საქონლის შესყიდვას და შემდეგ მცხოვრებთათვის დასარიგებლად საქონელს წვრილ საერობო ერთეულებს აწვდის.

დასასრულ ერობათა კავშირი აღნიშნავს, რომ ერობების დაწესებულებათა მუშაობამ მოიტანა სასურველი შედეგები და მან მოამზადა ნიადაგი მთელი ეკონომიური ცხოვრების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განმგებლობაში გადასვლისათვის. (დ. ს.).

## საავადმყოფო კასაში

**საექიმო დახმარების საავადმყოფო კასის ხელში გადასვლის საკითხი.** ამ დღეებში ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის გამგეობას და მექარხნეთა კომიტეტის წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ მუშებისთვის საექიმო დახმარების საქმის საავადმყოფო კასის ხელში გადასვლის შესახებ. გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაში საჭირო გახდება საავადმყოფო გადასახადის გადიდება 4%-მდე, რის წინააღმდეგაც წავიდნენ მექარხნეთა წარმომადგენლები. რადგან ამ გადასახადის რაოდენობის შესახებ საავადმყოფო კასის და მექარხნეთა წარმომადგენლება ვერ შეთანხმდენ, საკითხი გადასაწყვეტად შრომის სამინისტროს გადაეცა.

**პერიოდიული თათბირები საქარხნო კომიტეტებში.** საერთო საავადმყოფო კასის გამგეობამ გადასწყვიტა პერიოდიულათ მოაწყოს ხოლმე საქარხნო კომიტეტების და შინაგანი კომისიების თათბირი სოციალურ დაზღვევის მიზნების და კასის მოქმედების გასაცნობად.

**ფოთის საავადმყოფო კასა.** ფოთელ გადმომტვირთავთა საავადმყოფო კასამ თფილისის საერთო საავადმყოფო კასას სთხოვა დახმარება ავადმყოფ მუშათა მოვლაში, რადგან ადგილობრივ შეუძლებელი ხდება საქმის კარგათ დაყენება. თფილისის საერთო კასის გამგეობამ დაადგინა მოაწყოს ფოთელ ავადმყოფ გადმომტვირთველების მოვლის საქმე თფილისში, რისთვისაც ფოთელ მტვირთველთა კასამ აქ ანსათ შემოიტანა 25,000 მან. ამას გარდა თფ. საერთო კასის გამგეობამ დაადგინა დროგამოშვებით ექიმები გზავნოს ფოთში მუშების გასასინჯათ.

**პროცენტების შესახებ.** თფილისის საერთო საავადმყოფო კასამ წინადადება მისცა იმ მუშებს, რომელნიც ძირითად ჯამაგირის გარდა პროცენტებსაც ღებულობენ, რომ საავადმყოფო კასაში შეიტანონ პროცენტი მთელი ჯამაგირიდან პროცენტების ჩათვლით.

კასის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს ამხ. შანიძე.

## ბინის საკითხი და მუშათა კლასი.

ბინების საკითხი ძლიერ მწვავედ არის დაყენებული ჩვენს დედა ქალაქში.

მის სიმწვავეს ისე ვერავინ გრძნობს, როგორც მუშები. ქალაქიდან მრავლათ მიდიან, მაგრამ ბინის შოვნა მაინც შეუძლებელი ხდება. თუ სადმე დაიცალა, ვერც კი მიასწრებ მის ნახვას, რომ ის გაქირავებული აქვს სახლის პატრონს ან თითონ მდგმური სტოვებს შიგ ვინმეს.

სახლის პატრონები ისე გაურბიან მუშებზე და განსაკუთრებით ჯვარდიილებზე სახლის გაქირავებას, როგორც თათარი ღორის ხორცს. რომც ჰქონდეს გასაქირავებელი, უარს ეუბნება, რადგან იცის, რომ მუშას არ შეუძლია ისე დიდი ფასები მისცეს, რასაც ის აიღებს ჩარჩვაჭრებისაგან ან და ჩამობრძანებულ ბოზბოლებისაგან, რომელნიც მილიონობით ატრიალებენ.

საჭიროა ამას ბოლო მოეღოს,—ეყო მუშათა კლასს ნესტიან სარდაფებში და „სარაიებში" ყოფნა, სადაც შვილიც კი არ დამიზრდება, არამც თუ ქარი და სიცივე!

ჩვენ იმედით შევყურებდით თავისუფლებას, როცა ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელში იქნებოდა. ჩვენ ის მოვიპოვეთ. და მის შესანარჩუნებლათ არა ერთი და ორი საუკეთესო მსხვერპლი შევსწირეთ და ვსწირავთ კიდეც. ჩვენ საკუთარი სისხლით ვიცავთ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩვენს თავისუფლებას. ჩვენ შეგნებულათ ვიტანთ შიმშილს, სიცივეს, ანგარიშს უწევთ მდგომარეობას.

მიუხედავათ იმისა, რომ თავისუფალი ყაზარმების გამოყენება შეიძლებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთთან და მეზობელ რესპუბლიკებთან ჩამოშორების შემდეგ მრავალი დაწესებულება შესწყდა და მრავალი მოქალაქე გადასახლდა, ჩვენი ქალაქი მაინც სავსეა მუქთა-ხორა შჭამელებით და ქალაქის საუკეთესო სახლები იმათ უჭირავთ.

ამ სამი დღის წინათ ერთ ჩემ ნაცნობს შევჩივლე—იქნება ოთახი გეგულება სადმე, რომ მოვთავსდე, თვარა ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ რვა სული, ერთ პატარა ოთახში მეთქი. მან თავი გაიქნია უარის ნიშნად, როცა შევეხვეწე, რომ ესწავლებინა, თუ როგორ მომენახა ბინა მითხრა: —ჩამოიარე სახლები, გასინჯე ბინის წიგნები და თუ რომელიმე ბინაში აღმოჩნდება ორი სული, ოთახი კი ხუთი—ექვსი ექნეს, იშუამდგომლე სადაც ჯერ არს, რომ ორი ოთახი შენ გადმოგცენო.

მოდი და ნუ გაგეცინება: კარ და კარ იარე,—მერე ვინ მომცემს წიგნს. სახლის პატრონი, რომელთაც ჭირივით ვეჯავრებით. სად აქვს მუშას იმოდენა დრო, რომ კარ და კარ იაროს? ბინა, ეს პური ან ტანსაცმელ-ფეხსაცმელი არ არის, რომ ძნელი იყოს საზღვარ გარეთიდან შემოტანა. ის აქვე ჩვენშია საჭიროა მხოლოდ მისი წესიერად განაწილება.

ქალაქში იყო ბინის კომიტეტი, რომლის მოქმედება შეწყვეტილია. არ შეიძლება საქმის ასე მიტოვება. საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიექცეს. დაცლილი ბინები წესიერად უნდა განაწილდეს: მუქთა-ხორებს ნუ ექნება ექვსი—შვიდი ოთახი, იქნეს ეს გამოსწორებული. ზამთარი მოდის, ხალხი გარეთ რჩება და ზოგი კი ოთხ-ხუთ და ზოგან ექვს-შვიდ ოთახში ნებივრობენ.

მივაქცევ ქალაქის მეთაურების და მთავრობის ყურადღებას, რომ ეს კითხვაა მუშებისთვის მწვავე კითხვაა, სათანადოთ უნდა მოგვარდეს ის. თორემ ბევრის გაჭირვების ატანა შეუძლებელია.

ძ. ნიგორზღველი.

## ფოსტა ტელეგრაფი

„ახალი კომუნისტის" № 13 ვინმე „ნიკოშვილი" ვერ შერიგებია მენშევიკებისაგან შემდგარ ქუთაისის სარაიონო გამგეობას, მის ნაყოფიერ მუშაობას შედარებით ძველთან და ტყუილებით ცდილობს „კომუნისტის" ფურცლებზე გამგეობის პრესტიჟის დაცემას; მაგრამ თავის ტყუილებში ისე დაბნეულა, რომ ჩავარდნილა აზრთა წინააღმდეგობაში.

წერილის დასაწყისში „ნიკოშვილი" ამბობს: მარტამდის გამგეობაში უმრავლესობას შეადგენდნენ ესერები, შემდეგ მენშევიკები და კომუნისტებიო." მხოლოდ შემდეგ თვითონვე აბათილებს თავის სიტყვას და ამბობს: „მარტში მომხდარ არჩევნებს ესერებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და რადგანაც მენშევიკებს ერთი სია ჰქონდათ წარდგენილი და პროპორციონალურ არჩევნებში ეს შეუძლებელი იყო, ამისთვის დაბადეს მეორე სია, რომელშიაც იგივე მენშევიკები იყვნენ ჩაწერილნი და ამგვარათ, მხოლოდ მენშევიკები იქნენ არჩეულნიო."

საქმე შემდეგში მდგომარეობს: წასულ წლებში როდესაც არჩევნებს არ ჰქონდა პარტიული ხასიათი, გამგეობაში ყოველთვის დიდ უმრავლესობაში იყვნენ მენშევიკები, რასაც ვერ ურიგდებოდნენ ესერები (კომუნისტებზე ლაპარაკიც არ ღირს რადგანაც ისინი სულ 4 კაცს შეადგენენ) და რომ ახალ არჩევნებში გამარჯვება მათ მხარეზე ყოფილიყო მიმართეს სხვადასხვა ხერხს ხალხში ავრცელებდნენ პროვაკაციულ ხმებს, რომ ვითომც მენშევიკები როგორც მთავრობის პარტია, მთავრობას უწევს დახმარებას და ამხანაგების გაჭირვებულ მდგომარეობას არავითარ ანგარიშს არ უწევსო და სხ. 4 კაცისგან შემდგარი კომუნისტების „რაზმიც", როგორც მათი მარჩენალი იმ დროში, მხარში ამოუდგა ესერებს, რომ ბრძოლის ნაყოფი მათაც რგებოდათ და ამგვარათ შეხმატკბილებულებმა კიდეც მიაღწიეს მიზანს და გამგეობაში გავიდნენ უმრავლესობაში, მაგრამ 4 თვის განმავლობაში ხალხი დარწმუნდა მათ ავანტიურაში და ამ ვაჟბატონებმა შიშისაგან, რომ პასუხი არ მოეთხოვათ, თვითონვე გამოაცხადეს გამგეობა დაშლილათ, და მარტში მომხდარ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს სწორეთ იმისთვის, რომ დარწმუნებული იყვნენ ხალხი მათ ხმებს აღარ მისცემდა. კომუნისტები კი ქუთაისის კანტორაში არას დროს არ იყვნენ და არც დღეს არიან ანგარიშ გასაწევი და „ნიკოშვილი" თუ გაიძახის მათ უმრავლესობაზე, ეს მხოლოდ კომუნისტური ტრაბახია! ერთი რამ კი არის აღსანიშნავი: მათ იაჩეიკას მიემატა ერთი პიროვნება ბ. ლოსაბერიძე, რომელიც გადაიბარგა ესერებიდან, როგორც თავის წრეში ნდობა დაკარგული. რადგანაც გამგეობაში ყოფნის დროს მან მიითვისა და დაფარა კავშირის სახელზე გადმოგზავნილი ფული ცენტრ. სამარხი კასიდან გარდაცვლილ ამხანაგის მემკვიდრეზე გადასაცემათ. მე მგონია ერთი კაცის მიმატებით ოთხი ვერ შექმნიდა ქუთაისის კანტორაში უმრავლესობას, ვუსურვებდი კი „კომუნისტურ იაჩეიკას" ყველა ასეთებისათვის მიეცეს თავშესაფარი, რაც ესდეკებს და მგონი ესერებსაც არ აწყენინებათ.

სრული სიცრუეა ნიკოშვილის განცხადება: „მენშევიკები ხალხს აშინებდენ, პურს არ მოგცემთო" ეს არასოდეს არ ყოფილა. ეს კომუნისტების ტაქტიკას უფრო ახასიათებს და თუ ნიკოშვილის სიტყვებს გავყვებით, ამის საჭიროება ჩვენ არც გვქონია, რადგანაც მხოლოდ მენშევიკების სიები ყოფილა წარმოდგენილი. უნდა მოვახსენო ბ. ნიკოშვილს, რომ მან ძალიან კარგად იცის ერთი სია იყო ბლოკის უპარტიოებთან და და ისინი დღესაც უპარტიოებათ სთვლიან თავს. რაც შეეხება გეგეჭკორის დათხოვნას, ამაში მენშევიკებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. პირიქით, მის ცოლშვილს უწევდენ ნივთიერ დახმარებას და რომ გეგეჭკორი მტყუანი არ ყოფილიყო, კავშირში შემოიტანდა საჩივარს და თუ ასე არ მოიქცა, ალბათ, იცნო ის ბრალდება, რომელიც მას წაუყენა ადმინისტრაციამ.

ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ამ გზააბნეულ კორესპონდენტს ახლათ გადაყენებული ადმინისტრატორის გვინჩიძის ვექილობაც კი უკისრია და იმის მაგივრათ, რომ ფაქტებით დაამტკიცოს მისი უდანაშაულობა და კარგი ადმინისტრატორობა (რასაც ვერც ერთი მოსამსახურე ქუთაისის კანტორის ვერ იტყვის) პროვოკაციის საშვალებით უნდა მისი გამართლება და კურცხალიაზე მიუტანია იერიში,—მაგრამ ნუ, თუ არ იცის ნიკოშვილმა, რომ ამ თანამდებობის მიღებით მას არავითარი აღმატება არ მიუღია და ყოველ შემთხვევაში გვინჩიძე თუ მენშევიკი კურცხალიას გასაბედნიერებლათ არის გადაყენებული, მაშინ კანტორის უფროსის ბ. დელიბაშის გადაყენება რაღას უნდა მიაწეროთ? მის ადგილზე ხომ არა მენშევიკია დანიშნული. სად არის ლოღიკა, სად არის პრესის პატივისცემა, როდესაც ასეთ პროვოკაციულ წერილებს ბეჭდავთ, მაგრამ კომუნისტს ხომ ესენი არ მოეთხოვება!

დასასრულ მინდა გავაცნო კომუნისტის მკითხველებს ისიც, რომ „უნიონის" კონიაკი გამგეობას არას დროს არ ჰქონია. ამ კონიაკს ხალხი იძენდა მის თანამოაზრე ვაჟარ მიდიაშვილისაგან, რაც ნიკოშვილმაც კარგათ იცის. რაც შეეხება სესიევის კონიაკს, ეს გამგეობამ შეიძინა შემთხვევით იაფათ და ერთი კვირის განმავლობაში კიდეც გაჰყიდა გარეშე პირებზე, გარდა რამოდენიმე ბოთლისა, რომელიც დაურიგა ავადმყოფ ამხანაგებს ნისიათ თხუთხმეტი მანეთის მოგებით, ამხანაგების სალაროს კი შესძინა რამოდენიმე ათასი მანეთი. ამ ფულის დაკარგვის შიში ტყუილათ აქვს ბ. ნიკოშვილს, რადგანაც მენშევიკებს გამგეობის ფული „კომუნისტ" ლოსაბერიძესათვის, არას დროს მიუთვისებიათ.

ნიკოშვილი ტყუილად ცდილობს პროვოკაციით და ტყუილებით ფონს გასვლას!..

მებრძოლი.

## ს. დ.-პარტიაში

ძ. თფილისი. 19 აგვისტოს შედგა ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა თ. ვასაძის თავმჯდომარეობით. ცენტრიდან მოხსენება გააკეთა ს. თევზაძემ, რომელიც მიღებულ იქნა ცნობად. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები: 1) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ წიგნების გამომცემლობის შესახებ, 2) გაზ. „ერთობის" გავრცელების შესახებ, 3) ნ. ჟორდანიას ნაწერების შესახებ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა წიგნების გამომცემლობამ პირველ რიგში გამოსცეს ისეთი პოპულიარული, ხალხისათვის ადვილად გასაგებ ენაზე დაწერილი წიგნები, რომლის მიზანიც იქნება გააცნოს ფართე მასას საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება და გაუადვილოს დღევანდელ რთულ ეკონომიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვევა, 2) კოლექტიურ ხელის მომწერლებს გაზეთი დაეთმოს ნაკლებ ფასებში, 3) ნ. ჟორდანიას ნაწერებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის და სამწუხაროა რომ, მისი წიგნები არ იყიდება მუშებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში. საჭიროა კოლექტიურ ხელის მომწერლებს ნ. ჟორდანიას წიგნები დაეთმოს შედარებით იაფ ფასებში, რათა მუშებს საშუალება მიეცეს მათი შეძენისა.

მდივანი ვენედ. ჯორბენაძე.

—

**გაკის რაიონი (მუხრანი).** რევოლიუციის პირველ ხანებშივე რაიონის ყველა სოფლებში მოეწყო ს. დ. ორგანიზაციები, რაიონული კოლექტივი კი არსებობდა სადგურ მუხრანში. რაიონული კოლექტივის ხელმძღვანელობით ხშირათ იმართებოდა კრებები სოფლებში, სადაც კეთდებოდა მოხსენებები მომენტსა და პარტიულ მუშაობაზე. დღეს კი როგორც სოფლის, ისე რაიონული ორგანიზაცია არ არსებობს და თუ სადმე არსებობს, მხოლოდ სახელით, მუშაობით კი არსად არ მუშაობენ. ეს სწორედ ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ ამ სოფლებში ყველა პროვოკატორს და ბნელეთის მოციქულებს დიდი გასავალი აქვთ; ხალხი იკვებება იმათი ჭორებით, ისინი კი ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ფართე აგიტაციას ეწევიან. საჭიროა სოფლათ დაუყონებლივ პარტიული ორგანიზაციების მოწყობა და მუშაობის გაჩაღება.

ამისთვის საჭიროა—რაიონში არსებული მომუშავეთა ძალა გამოყენებულ იქნას პარტიულ მუშაობის განახლება-გაჩაღებისათვის. [illegible] სამაზრო ს. დ. კომიტეტმა ამას დაუყონებლივ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება. სხვადასხვა ქალაქებში წასულ ამხანაგების ნაწილს კი მოვუწოდებთ მიაშურონ მიტოვებულ სოფლებს და ჩვენებურათ-ძველებურათ გააჩაღოთ პარტიული და კულტურული მუშაობა დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებ-

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის სავაჭრო
**ა. ი. მაჭარაძის და ვ. ა. წოწონავასი**
ქ. ბათომი დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 26
სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: და ჭურჭლები შუშის, ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ალუმინის და სხვა. ვყიდულობთ და ვყიდით ყოველნაირ ავეჯეულობას.
(2396— 10—2)

ლით და შინაურ და გარეშე მტერთა ასალაგმავათ. **ს. ხხივიშვილი.**

---

**სამტრედია** ეს რამოდენიმე ხანია სამტრ. საკოლექტივოში უკმაყოფილებას აქვს ალაგი. ამ უკმაყოფილებას ზოგიერთი ამხ. უწოდებდა ინტრიგას, ზოგიერთი გაუგებრობას ვაწერდით.

გასული წლის ბოლო ნახევარში იქამდე მივიდა საქმე რომ მთლიანი ძირითადი დეპოს ორგანიზაცია ორ უთანასწორო ნაწილად გაიყო. დიდი მეცადინეობით მთლიანობის დამცველ ამხანაგებმა მოახერხეს შეერთება, მხოლოდ ამას მოყვა ოთხი ამხანაგის ზნეობრივათ დასჯა, ერთის ექვსი თვით და ორის სამი თვით. გადის რამოდენიმე ხანი და ეხლა წამოიჭრა მეორე ლოზუნგი იმავე მებაირახტრე ამხანაგებისა, ცალკე დაარსება სამტრედიის რკინის გზის მუშა მოსამსახურეების კოლექტივისა, რომ რკინის გზის ცალკე კოლექტივი საჭიროა დაარსდეს ამას ასე ასაბუთებდნენ: რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები, როგორც ეკონომიურათ დაჩაგრულები, მალე სულ მოკლე დროში გაბედნიერდებიან თუ ამ მათ მიერ გამოწერილ რეცეპტს მიიღებენ. როცა ვეუბნებით რა საჭიროებას მოითხოვს ერთ ერთეულში ორი სწორ-უფლებიანი კოლექტივის დაარსება გვიპასუხებენ ამ კოლექტივში უმრავლესობა არა რკინის გზელებია და ჩვენი ვერ გაგვყავსო.

ეს არის მათი გაყოფის ყველა არგუმენტები. თუ ვინ არიან ამ განხეთქილების მოტრფიალენი, მათ ვინაობას ჯერჯერობით არ ვაცხადებთ, ვინაიდან ჩემი გულწრფელი რჩევაა მათდამი, რომ დაფიქრდენ, და მერე იფიქრონ ამ კითხვის დაყენებაზე. მე კი ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ გაყოფის მოტრფიალე ამხანაგები ჩაუკვირდებიან კარგათ საქმეს, გაიგებენ, რომ ეს გაყოფა ზიანს მოუტანს მთელ მუშათა კლასს და გაახარებს მუშათა მტრებს

ამ კითხვის ირგვლივ სამტრედიის რაიონულ ს. ს. დ. მ. პ. კომიტეტში იყო მსჯელობა 23 ივლისს, რომელმაც გადაშინჯა ამ კითხვაზე თავისი ყოფილი დადგენილება და დიდი კამათის შემდეგ კენჭის ყრით საკითხი, რკინის გზის კოლექტივის ცალკე გამოყოფისა ღიათ დასტვა.. მეივანი **სევ. ხვიჩა.**

# ს. ნავთლუღი

ჩვენ სადგურზე არსებობს რკინის გზის პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ეს დიდი შეღავათია ჩვენი ბავშვებისათვის, რომელთაც უნდა ევლოთ თფილისში, თუ ეს სასწავლებელი არა.

სკოლა მოთავსებულია ერთის მხრით საუცხოვო ალაგას. მაღლობზე, სუფთა ჰაერზე, მაგრამ მეორეს მხრით პატარა ბავშვებისათვის ზამთარში მეტად ძნელია იქ მისვლა ქარ-ბუქის დროს... ამიტომ ხშირად სკოლა ვერ მოქმედებს, იკეტება. საჭიროა სკოლის თვით სადგურის ახლოს გადმოტანა. ბევრი ეცადა სამოსწავლო კომიტეტი, მაგრამ შესაფერი შენობა ვერ იშოვა. დღეს საკითხი მწვავედა სდგას: თუ შენობა არ აღმოჩნდა, სკოლა უნდა დაიკეტოს, ვინაიდან ზამთარში ბავშვების მოუსვლელობის გამო სწავლა სცდება. არის ერთი გარემოება. დაიცალა სადგურის ახლო ერთი შენობა ხუთი ოთახით, სადაც სცხოვრობდა მეშვიდე უბნის ლიანდაგის უფროსის თანაშემწე. ეს შენობა სკოლისათვის კარგია და კარგ ალაგასაც არის. სამწუხაროდ, აქ დასახლებას აპირებს ადგილობრივი კომისარი ბ-ნი ეპიტაშვილი. ჩვენ ვიცნობთ ბ ნ ეპიტაშვილს. ის სადგურზე საჭირო და მასთან პატიოსანი მოღვაწეა. ისიც ცხადია, რომ მას ბინა უნდა ქონდეს სადგურზე ახლოს. ხოლო ჩვენ მაინც იმედი გვაქვს რომ ბ-ნი ეპიტაშვილი დაუთმობს ამ შენობას პატარა ბავშვებს შემდეგი კომბინაციით, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეხლანდელ სკოლის შენობაში, რომელიც შესდგება ოთხი დიდი და კარგი ოთახისაგან შეიძლება მოთავსდეს ორი ოჯახი რკინი გზელისა, რომელთაც ღამე სამსახური არ აქვთ და არც იტყვიან უარს სუფთა და საუცხოო ალაგას გადასვლაზე. ბ ნი ეპიტაშვილი კი, დაიჭერს ამათ ბინას. ასე, არც მწვადი დაიწვება და არც შამფური.

სკოლა მოთავსდება ზემოდ ხსენებულ შენობაში და ნავთლუღის პატარა ბავშვებს ასცდებათ ყინვაში მაღლა გორაზე სირბილი ან და თფილისში მატარებლით მოგზაურობა, თუ ნავთლუღში სკოლა დაიკეტა ჩვენ იმედი გვაქვს ამ გარემოებას მიაქცევენ ყურადღებას, როგორც სამოსწავლო კომიტეტი, ისე ადგილობრივი რაიონის გამგეობა და ადმინისტრაცია და საქმეს პატარა ბავშვების სასარგებლოდ დააბოლოებენ.

**ახლობელი.**

# მუშათა შორის

**ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირის პრეზიდიუმის პასუხის გამო.**

ლითონზე მომუშავეთა კავშირის პრეზიდიუმი („ერთ". № 183), ესარჩლება რა ო. ლაცაბიძეს, რომლის წინაალმდეგაც იყო მიმართული ჩვენი წერილი, („ერთ". № 173) ვერ არღვევს ვერც ერთს იმ ბრალდებას, რომლებიც იყო წამოყენებული ჩვენს წერილში, ამართლებს მხოლოდ იმით, რომ ლაცაბიძეს მიუძღვის დიდი შრომა კავშირის გაჯანსაღებაში, მაგრამ, სამწუხაროდ დიდი ღვაწლი მიუძღვის სასურსათო საწყობის ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტის დანგრევაში და ხელის შეშლაში, რაც აღვნიშნეთ ჩვენ პირველ წერილში.

ყველას საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არავითარი კავშირი და დამოკიდებულობა ადმინისტრაციასთან და კერძოდ ანდრო რამიშვილთან არ გვქონია და არც გვაქვს. პირიქით, მასთან ძალიან ხშირად ჩვენ ხანმოკლე მუშაობაში გვიხდებოდა დიდი შეხლაშემოხლა და ტყვილად გვიხსენიებს პრეზიდიუმი მასთან ერთად, თითქოს ჩვენ მისი დაცვა გვინდოდეს. რომ ეს ასე არ არის, ამას დაამტკიცებს შემდეგი: მე (პ. რამიშვილმა) ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კომიტეტში სრულებით არ შევდიოდი, გავაკეთე მოხსენება კავშირში მუშათა იმ არანორმალურ მდგომარეობის შესახებ, რომელიც იყო გამოწვეული ზედმეტი მუშაობით და სხვა პირობების შესახებაც. მოხსენება აშკარათ მიმართული იყო ადმინისტრაციის წინაალმდეგ, იმ მოხსენების წერილობით შავი თვით ლაცაბიძემ წაიკითხა იმ ლამესვე.

სად არის აქ ადმინისტრაციის დაცვა? ჩვენ ვთხოვთ ამხანაგ მუშებს ამასთან ერთად მონახონ „ერთობა" № 173, რომელშიაც ჩვენი პირველი წერილი იყო, № 175, რომელშიაც გამოქვეყნდა კავშირის დადგენილება, ის გაზეთიც, რომელშიაც იყო პრეზიდიუმის წერილი სასურსათო საწყობში მომხდარი უბედურების შესახებ არუთინოვის დახრჩობით, და აგრეთვე № 183, პასუხი პრეზიდიუმისა,—განიხილოს ყველა ესენი დღევანდელ ჩვენ წერილთან ერთად და მაშინ დავინახავთ, თუ რა უნდა გამოერკვია იმ კომისიას, რომელსაც ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით 28 ივლისის კრებაზე და ამიტომ სრულიად უადგილოა ის კითხვითი ნიშანი, რომელიც ამ კომისიის შესახებ დასმულია პრეზიდიუმის წერილში.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ 19 ივნისამდე ადგილობრივი საქარხნო კომიტეტების წევრებათ არ ვირიცხებოდით.

19 ივნისს კი ერთი ჩვენგანი (მეგრელიშვილი) არჩეულ ვიყავი საკონფლიქტო კომისიაში, ო. ლაცაბიძის თანდასწრებით, და შემდეგ კომისიის თავმჯდომარეთ. ტ. ხუნდაძის წასვლის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარეთაც მეორე—(პ. რამიშვილი) ივნისის დამლევს გავხდი უფლებიანი წევრი და ვასრულებდი მდივნის მოვალეობას. აი ამ ხნიდან 28 ივლისამდე ვმუშაობდით ჩვენ ორნი, კომიტეტში და საკონფლიქტო კომისიაში, მანამდე კი კომიტეტში იყვნენ იგივე პირები, რომლებიც 28 ივლისს აირჩიეს.

იყო კომიტეტი ჩვენამდის, მაგრამ მას მუშა-მოსამსახურეების არც უფლებრივ და არც ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არაფერი გაუკეთებია. ჩვენს დროს კი, ჩვენი ხან-მოკლე მუშაობით გავაკეთეთ შემდეგი:

1) განვახორციელეთ შეღავათებით სარგებლობა; 2) საგრძნობლათ გავაუმჯობესეთ ექსპედიტორების მდგომარეობა; 3) მოვაგვარეთ საკითხი ზედმეტი ნამუშევარის შესახებ, და მის გარშემო ატეხილი კონფლიქტები; 4) მოვუპოვეთ 8 საათის მაგივრათ 6 საათის სამუშაო დღე ზოგ ზოგ მუშა ინტელიგენტებს. 5) მუშათა მიღება-დათხოვნის საქმე, მთლიანათ ადმინისტრაციას ეჭირა ხელში, დიდის ბრძოლით, გადმოვიტანეთ შერეულ კომისიის ხელში; 6) მედროგეები, რომლებიც ყოველ დღირათ საქმე და უქმე მაღაზიაში, მუშაობას ზევით, ცხენების მოსავლელათ მუშაობდენ, ზედმეტ უფასო მუშაობისაგან გავანთავისუფლეთ. (თუმცაღა ჩვენს შემდეგ ისევ ძველებურათ მუშაობენ); 7) მოვაწყვეთ სჩაიე დაწესებულების ხარჯზე, მუშა-მოსამსახურეთათვის; 8) გავარჩიეთ სხვადასხვა კონფლიქტები ადმინისტრაციისა და მუშებს შორის, რომელთა რიცხვში ალსანიშნავია ქვათაძის და გამჯაშვილის საქმე, რის ისტორია ადგილობრივმა ამხანაგებმა იციან, და სხვა და სხვა მრავალი წვრილმანი საკითხები, რომლების ჩამოთვლას აქ ადგილი არ აქვს. რასაკვირველია ბევრი საკითხები კიდევ იყო გადასაჭრელი და მოსაგვარებელი, მაგრამ ყველაფერი ხომ ერთი ხელის დაკვრით, იმ მოკლე ხანში არ გაკეთდებოდა და თუ კი შესაძლებელი იყო, სად იყო ამდენხანს ის კომიტეტი, რომელიც ჩვენამდე მუშაობდა? ის, რაც ჩვენ „ორმატოლმა" შევასრულეთ, იყო საერთო კრებებისა და კომიტეტის დადგენილებანი და მუშათა მოთხოვნილებანი (რის შესახებაც ხელმოწერილი საბუთი ხელში გვაქვს) და არამც თუ ორმა, ერთსაც რომ შემთხვევაც მომცემოდა, თამამად შევასრულებდით მას, მხოლოთ შემდეგ მოხსენებას გაუკეთებდით კრებას, როგორც ეს ხდებოდა, და მოხდა 28 ივლისსაც. აქ ჩვენ გვესმის გასამართლება იმ შემთხვევაში, თუ დადგენილებანი საზარალოთ იქნება შესრულებული.

სამწუხაროა, რომ პრეზიდიუმის საპასუხო წერილი სავსეა არა სწორი ფაქტებით. მაგალითად:

1) სად იყო ჩვენ მიერ ბანქე აგდება საკითხის, რაშიაც ბრალსა გვდებს პრეზიდიუმი, ნაცვალაძის გადაყენების შესახებ, როდესაც მოწერილობის მიღებისთანავე იქნა მიღებული ზომები. მოწერილობა იქმნა განხილული საკონფლიქ-

[illegible]

ვის შესახებ, და 3) ადგილობრივ რაიონულ გამგეობის და მისი თავმჯდომარის მოქმედება.

1 საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. სიხარულიძემ, რომელიც ვრცლად შეეხო მე 17 ბრძანების მუხლებს. მომხსენებელი ჰყოფდა სარკინიგზო სამუშაოს ორ კატეგორიათ (საქარხნო-საფაბრიკო და სამორიგეო), და გაეცნო ყრილობას 8 საათის სამუშაო დროის ყველგან ერთნაირად გატარების შეუძლებლობის საბუთები. ყრილობამ ამ მოხსენებიდან გამოჰყო 8 საათის სამუშაო დრო კონდუქტორებისთვის და მემანქანეებისთვის, რომელიც დასვა მე 4 საკითხად.

მე 2 საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვაშაკიძემ, რომელმაც თავის მოხსენებაში აღიარა ყველა დეფექტები სასურსათო საქმიანობაში და სხვათა შორის, ხაზი გაუსვა, რომ იყო შემთხვევები ჩვენ აღმოგვიჩენია ბოროტ-მოქმედები, დავითხოვია სამსახურიდან, მაგრამ ისინი უკეთეს ადგილებში აფარებენ თავსო. ჩვენ ჩვენის მხრით (ყოველ შემთხვევაში ახლანდელი შემადგენლობა) ვცდილობთ სასურსათო საქმეში ყოველგვარ ბოროტების აღმოფხვრასო და სხ.

კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია: ვინაიდან მეტის-მეტი სიმწვავეა სურსათის კითხვაში, განსაკუთრებით ამ თვე ნახევარში, მიიღოს ყოველივე ზომები სასურსათო კომიტეტმა, რომ ამ დროში მაინც გადიდებულ იქნეს პურის რაციონი, მით უმეტეს, ა' ეთი შეპირება იყო წიგნაკების შესწორების (მკვდარი სულების ამოფხვრის) შემდეგ დროისათვის. ბოროტებაში შენიშნული პირები იქნან სასტიკათ დასჯილნი და თუ ასეთები სამსახურში არიან ჩვენს რესპუბლიკაში,—დაუყონებლივ იქნან დათხოვილი და პასუხისგებაში მიცემული.

მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთეს რაიონული გამგეობის თავმჯდომარე ი. კუპაძემ, ქ. შენგელიამ, ლ. ჯანელიძემ, რომლის მოსმენის და ხანგრძლივი კამათის შემდეგ რაიონულმა ყრილობამ 69 ხმით 7 წინააღმდეგ უნდობლობა გამოუცხადა და გადააყენა რაიონულ გამგეო-

[illegible]

საჭირო და სარგებლობასაც მეტს მივიღებთ. მხოლოდ ამ საქმეს დაინტერესებულმა პირებმა და განსაკუთრებით ქორეთუმის მცხოვრებლებს უნდა მიაქციონ ყურადღება და, რასაკვირველია, თემის გამგეობამ უნდა მიიღოს ყოველივე ღონისძიება, რომ წყალი იქნას გადაყვანილი პატარა ნარიონებში და იქიდან კი დიდ ნარიონებში. ამ საქმეში ქუთაისის ერობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. **ხალიჩელი.**

---

**ს. ზობნევი.** 8 აგვისტოს ს. ზობნევში სახალხო ყრილობაზე მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა გ. გაგლოევმა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

დეპუტატი სხვათა შორის შეეხო ოსების და ქართველების დამოკიდებულებას და სთქვა: წარსულში ამ ორ მონათესავე ერს მტკიცე ერთობა კეთილი მეზობლობა ჰქონდათო. ოსები მუდამ საქართველოს მფარველობის და გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

რევოლიუციის დროს ქართველი და ოსი მშრომელი ხალხი ერთად იბრძოდა საერთო მტერთან ერთი მიზნისათვის. და როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს არ უნდა ეღალატნათ საქართველოს დემოკრატიისათვის, რომელიც საკუთარი სისხლით იცავდა თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

სამწუხაროდ, ოსების შეუგნებელი ნაწილი აჰყვა თავიანთ ნაციონალისტებს და ბალშევიკებს. ოსის ნაციონალისტების თხოულობდნენ ცალკე გამოყოფას, ბალშევიკები კი რუსეთთან შეერთებას.

ერთნიც და მეორენიც შეერთებულნი ამხედრდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ჯავის ხეობის რამდენჯერმე აჯანყება.

ახას ვეღარ შეურიგდა მთავრობა, რომელიც იძულებული გახდა საქართველოს დამოუკიდებლობას და რესპუბლიკის დასაცავად ძალით დაეპყრო ჯავის ხეობა, აეყარა ყველა, ვინც ებრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ძირს უთხრიდა დემოკრატიულ წესწყობილებას.

მომხსენებელმა გააფრთხილა დამსწრეები და ურჩია ზურგი შეექციათ ოს ნაციონალისტებისათვის, ბალშევიკებისათვის და ყაჩაღებისათვის.

„თქვენი ბედი თქვენს ხელშია, როგორც მოიქცევით, ისე მოგექცევიანო" დაამთავრა მომხსენებელმა.

გზა და გზა დეპუტატი გ. გაგლოევი გაეცნო ადგილობრივ თემის ატენის ერობის, გვარდიის და მილიციის მუშაობას. ამ ერთი—ორი თვის წინეთ ყაჩაღების შიშით ადამიანი თავისუფლად ვერ გაივლიდა ატენის ხეობაში, რაც ხელს უშლიდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მუშაობას.

რაც ადგილობრივი გვარდიის მობილიზაცია მოხდა და ყაჩაღების წინააღმდეგ გამოვიდა 120 მდე მებრძოლი გვარდიელი გაძლიერებული მილიციასთან ერთად, სწრაფად ჩამოვარდა მშვიდობიანობა. ყაჩაღების ერთი ნაწილი დაიჭირეს, ზოგი თითონ დანებდა, ზოგი დაიხოცა, მათ შორის ორი მეთაურთაგანი, დანარჩენნი გადაიხვეწნენ სხვა ქვეყნებში. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა და ეხლა კმაყოფილია.

აგრარული რეფორმა მთელ რაიონში გატარებულია, გარდა ახალსოფლის საზოგადოებისა. ხიდისთავის, ოსეთის, გარდატენის და ატენის უსახლკარო ოჯახთ მიეცათ ადგილები. მარტო ატენში 120 კომლამდე იქნა დაკმაყოფილებული, რომელთაც სახლ კარისათვის მიეცათ ზეზემანის ყოფილი მამული. ამ ნიადაგზე ბევრს მუშაობს ატენის ერობა, ყველაზე დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი ერობის მუშაობისათვის არის უსახრობა.

თემსა არა აქვს საკუთარი წყარო შემოსავლისა. შეუძლია მოაწყოს პატარა მასშტაბით ხე ტყის წარმოება და წისქვილი, თუ სამაზრო ერობამ ხელი შეუწყო. ამ უკანასკნელისაგან თემი თხოულობს ზეზემანის ქარხნისაგან დარჩენილ წყლის ტურბინს, რომელსაც თემი ადვილად გამოიყენებს ზემო აღნიშნულ მიზნისათვის. **ხიონ.**

# წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ მთავარი შტაბის წევრს ამხ. მ. მუხარინსკის, რომელმაც კეთილ ინება და რკინის გზის უბნის სახალხო გვარდიის შტაბის კულტურულ განმანათლებელ სექციას შემოსწირა ფონდის გასაძლიერებლათ ათას ხუთასი მანეთი.

—სექციის თავმჯდომარე
**ი. ნაზარბეგოვი.**

---

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


# განცხადებანი

## განცხადება

8 აგვისტოს სად. სამტრედიაში მატარებლიდან ჩამოსვლის დროს, მუშას შეცდომით ნაცვლად ჩემი პატარა ხელის ჩემოდანისა სხვისი გადმოეტანა. ვსთხოვ ვინც ჩემი ჩემოდანი წაიღო დამიბრუნოს ® სამაგიეროდ მოიკითხოს თავისი პატარა ხელის ჩემოდანი სამხედრო სასანიტარო № 1 მატარებელში.

**მარგიანი.** (2756 1—1)

---

თელავში
თვალის ავათმყოფობის ექიმი
**ა. გ. გალოევი.**
მიიღებს ავათმყოფებს ენკენისთვის 3-დან.
(2760 —2—1)

---

გორჯომში
ექიმი
**ბესარიონი ბაპოვი**
თბილისიდან.
იღებს ყელის, ყურის და ცხვირის ავადმ. მისამართი გაიგება პარკში.
(2554—10—9)

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და შარდის [illegible] ღებები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და [illegible] დამის 5—8 საათამდე. ქალების 4—[illegible] კვირაობით მხოლოდ დილ. თ. მისამართი [illegible] ქ. № 33. (1288 25 4

---

**სამხედრო ხე-ტყის ქარხანა**
ამით აუწყებს, რომ მას დამზადებული აქვს დიდძალი
**ნახერხი**
და მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ შეღავათიან ფასებში, მისამართი: მადათოვის კუნძული. (ნ. 6—2)

---

ექიმი
**კ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სასამართველოს პირდაპირ.
(2264—თ.)

---

ექიმი
**ვ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის, რტიშჩევის ქ. № 22, [illegible]

---

ექიმი
**ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი**
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(თ. 2577)

---

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

---

ექიმი
**ნიკოლოზ მახვილაძე**
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(თ. 2528)

---

თბურჯომში
ექიმი
**ს. ვ. აბაშიძე**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". კ. სიამაშვილის სახლში.
(თ. 2634.)

---

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 [illegible] საღ. [illegible] ნახ. საათამდე. 2722-[illegible]

---

ექიმი
**ე. ი. კალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს
(2446—თ.

---

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

---

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო
(2383—თ.)

---

**ერობათა კავშირის კომიტეტი**
იწვევს გამოცდილ
**ბუხჰალტრებს**
და
**მოანგარიშეებს**
თხოვნები მიიღება ერთი კვირის განმავლობაში დღიდან განცხადებისა, კომიტეტის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი 24. ერობებში მოსამსახურეთაგან თხოვნები არ მიიღება. (ნ. 2—1)

---

**თფილისის კომერციული სასწავლებელი**
მიიღება თხოვნები გაეროვნებულ-ქართულ მე-5 კლასში შესასვლელად. მისაღებად საჭიროა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში კურსის დამთავრების მოწმობა ანუ საშუალო სასწავლებლის ოთხი კლასის გავლისა. იმ პირთ, რომელთაც არ მოეპოვებათ ასეთი მოწმობა, დაენიშნებათ გამოცდა, თუ თავისუფალი ვაკანსია აღმოჩნდა. თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველ დღე სასწავლებლის კანცელარიაში, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს დილის 9 საათიდან. (2720 2—2)


საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4.